The European model of landscape planning (LP) is considered the universally acknowledged algorithm-experiment in the management of the natural environment by means of improving societal organization. Natural resource usage approached in this way has a legal status in many countries, whereas in the Republic of Armenia it was legalized in 2007.

The work aimed at the development and justification of the optimal statuses of targeted use of mountainous landscapes at the regional level. In order to use the classical LP model on the medium scale in mountainous conditions the activities were implemented according to earth systems which were assessed and inventoried with reference to indicators of atmosphere, soil, water, biotopes and separately the relief.

Литература

- Хочян А.В. (1991). Некоторые особенности высотной поясности и аридности ландшафтов Араратской котловины. Геог. и природные ресурсы, СОАИ. Иркутск, №1; с. 76-82;
- Хочян А.В. (1991). Физико-Географ. условия развития эрозии в ландшафтах Араратской межгорной котловины; Дисс. на соиск.уч. степ.канд. геогр. Наук; Тбилиси, , с. 124;
- Исаченко А.Г. (2004). Теория и методология географической науки. Л., с.395;
- Козаков Л.К. (2004). Ландшафтоведение. (пр-ые и пр-но-антр-ные л-и) М., с.262;
- Conservatia priority landscapes in the Caucasus. Virnna. (1996);
- Wind Energy Resurse Atlas of Armenia' USE, (July 2003).



**რეპორნის ტურისტულ-რეკრეაციული უზრუნველყოფის განვითარების
საფუძვლები**

ზ. სეფერთელაძე, ე. დავითაია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტურიზმისა და დასვენების ორგანიზაციის მიზნით, ფიზიკურ-გეოგრაფიულმა (ლანდშაფტურმა) კვლევებმა აქამდე უღერებლად დიდი მნიშვნელობა შეიძინა. ჩამოყალიბდა გეოგრაფიული მეცნიერების ახალი მიმართულება – რეკრეაციული გეოგრაფია. მისი კვლევის ობიექტი სწორედ რეკრეაციული სისტემებია, ქვესისტემებით – რეკრეანტები, ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსები, ტექნიკური საშუალებები, მომსახურე პერსონალი.

პრობლემა ძალზე აქტუალურია, რაც ბუნებრივია შემთხვევითი არ არის. ყინაიდან დღითი-დღე მატულობს (განსაკუთრებით დიდ ქალაქებში) დისკომფორტული (ტრანსპორტის ხმაური, პიერის გაჟუჟყიანება, ინფორმაციის სიუხვე და სხვ.) პირობები, რაც უბიძგებს ადამიანს შეუდროება და სიმშვიდე (დროებით მაინც) ეძებოს ბუნების წიაღში. ამვე დროს, აღამიანებს (განსაკუთრებით ახალგაზრდობას) მშობლიურ გარემოსთან, ისტორიულ-ხუროთმოძღვრულ ძეგლებთან, ეთნოგრაფიულ ობიექტებთან მუდმივი სიახლოვე და ურთიერთობა საკუთარი ქვეყნის სიყვარულის გრძნობას უღვიძებს, უყალიბებს პიროვნულ დადებით მორალურ თვისებებს და ა. შ.

თავის მხრივ, სარეკრეაციო ობიექტებში რეკრეანტის ჭარბი და არაორგანიზებული კონცენტრაცია (პრუტა, 1974; პავლიაშვილი, 2003 და სხვ.) ხშირად შედეგია ბუნებრივი კომპლექსების (ბტკ) ზედმეტი გადატვირთვისა, როცა ადგილი აქვს ბტკ-ას რღვევას ეკოციდის, ხოლო ზოგ შემთხვევაში გეოციდის (ხრული განადგურება) დონეზეც კი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დასვენების სწორი ორგანიზაციის მიზნით, ლანდშაფტმოდენეთა წინაშე დგას თანამედროვეობის გადაუდებელი და უღერებლად აქტუალური ამოცანა – ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების რეკრეაციული დანიშნულების (შეფასების) გეოგრაფიული ასპექტების შექმნა. გამომდინარე იქიდან, რომ ბუნებრივი გარემო რეკრეაციული სისტემის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი და ფიზიკური გეოგრაფიის კვლევის ობიექტია, დასახული მიზნის მისაღწევად შემდეგი ამოცანები უნდა იქნას გადაჭრილი:

1. რეკრეაციული ობიექტების ბუნებრივი პირობების კომპონენტური და კომპლექსური ნიშნების გეოგრაფიული შეფასება, ანუ გარემოს რეკრეაციული ხელსაყრელობის (კომფორტულობის) ხარისხის განსაზღვრა.

2. რეკრეანტთა დატვირთვის მიმართ ბტკ-ს „კეთილსასურველი“ თვისებების შენარჩუნების მიზნით (აღვყნიძე, დავითაია, 2003), ბუნებრივი კომპლექსების მღერადობის (ზემოქმედების ოპტიმალური ნორმის) და პიმეოსტაზის დონის განსაზღვრა;

3. ბუნებრივი კომპლექსების ზონირება რეკრეაციული ნიშნების მიხედვით და მათ შორის, ამ მხრივ ნაკლებად ან თითქმის გამოუსადეგარი ბტკ-ბის გამოვლენა.

ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების ოპტიმალური სახის გამოვლენის მიზნით, ტერიტორიის ლანდშაფტურ-რეკრეაციული ზონირება მიზანშეწონილია ჩატარდეს ორ ძირითად ეტაპად:

ა. რეგიონული დაგეგმარების ეტაპი – დასვენების ობიექტების ოპტიმალური განლაგების სარეკომენდაციო ასპექტების გამოვლენა და რეკრეაციული ზონების დაროქტება (ლანდშაფტმოდენე სპეციალისტის უშუალო მონაწილეობით);

ბ. მსხვილმასშტაბიანი ლანდშაფტურ-რეკრეაციული დაგეგმარების ეტაპი – დასვენების ობიექტების დეტალური ზონირება ლანდშაფტურ საფუძველზე.

ბუნებრივი პირობების რეკრეაციულ-სარესურსო თვისებისას, მიზანშეწონილ და საყოველთაოდ აღიარებულ მეთოდად მიჩნეულია ლანდშაფტური საფუძველი, რაც

შემოხვევითი არ არის: ვინაიდან, ბუნება ადამიანზე ზემოქმედებს არა მარტო პირდაპირ, არამედ ცალკეული ნაწილებით (კომპონენტებით), არამედ ამ პროცესში ბუნებრივი პირობების მთელი კომპლექსია ჩართული, აქედან გამომდინარე, ავტორთა აზრით, ბუნების კომპორტულობის შეფასება შესაძლებელია მხოლოდ ბტკ-ის სტრუქტურის, ღინამიკისა და ფუნქციონირების დრმა და დეტალური გამოკვლევით. ამავე დროს, გარემოს რეკრეაციულ შეფასებაში ყველაზე ნაკასუსისმგებლო და როულ ვტას წარმოადგენს იმ ფაქტორების შერწყვა (Илчпир, 1975), რომლებიც ბტკ-ს მიმზიდველობაზე უშუალოდ ზემოქმედებს. ამ შხრივ, საყურადღებოა რეკრეანტის შიურ, დასვენების შერიოდში, ბუნების შიპართ წაყენებული შითხონეები, ამას კი, თავის შხრივ რეკრეანტის ახაკი, განათლება, კულტურის დონე, ჟანმროულობის მდგომარეობა და სხვ. პირობები განსაზღვრავს.

ამდენად, აღნიშნული პირობები გვიკარნახებს, რომ დასშული ამოცანების გადაწყვეტილის შიხნით, ბტკ-ის მიმზიდველობის ზუსტად განსაზღვრული რაოდენობრივი კრიტერიუმების საფუძველზე (Seperteladze, Davitaia, 2007), შიხანშეწინილია საკვლევი რეგეიონების დიფერენციაციის (ზონირების) ჩატარება.

ბუნებრივ-რეკრეაციული დაგეგმარების შირველ, რაიონულ ვტაპზე, შესაძლებელი და საკმარისია მხოლოდ რეკრეანტთა ინტეგრალური შითხონეიდებების გათვალისწინება და, შესაბამისად, ბტკ-ის მიმზიდველობისა და ცალკეული დირებულების ზოგადი შეფასება. ამ ვტაპზე, ჩენი აზრით, უნდა შემოიფარგლოთ გარემოს მხოლოდ იმ კანონზომიერებების შეფასებით, რომელიც მას რეკრეანტთა დიდი ნაწილისათვის ხელსაყრელსა და მიმზიდველს ხდის. ამ უკანასკნელს კი განსაზღვრავს: ბტკ-ის ესთეტიკური ხარისხი, შიხადგომლობა, წყლით (განსაკუთრებით სასმელი) უზრუნველყოფა, ფაქტორთა შრავალფეროვნება (შრავალშხირი გამოყენების შიხნით) და ა.შ.

ბუნებრივია, ბტკ-ის ესთეტიკური (კიეზაყური) დირებულება განსხვავებულია შიხისა და ბარის ზონაში, რაც განისაზღვრება შემდეგი მანქენებლით: რელიეფის შირიზონტალური დანაწევრება, ზედაპირის დახრის კუთხის საშუალო მანქენებლები (ვერტიკალური დიფერენციაცია), ტუიანობა (%-ში), ტუის სახეობრივი შემადგენლობა, საწყლო ქსელის სიხშირე ერთულ ფართობზე (კმ²კმ²). კვლევების შედეგად (Чима, 1983; Пиргуа, 1974) დადგენილია, რომ ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორთაგან ბტკ-ის მიმზიდველობაზე შოქმედი ერთ-ერთი შირითადი ფაქტორია ტუიანობის კოეფიციენტი. ამიტომაც, 10-ბადიანი შეფასებით, ამ მანქენებელს შეიძლება მიენიოს 2 ბალი.

რაც შეეხება ესთეტიკურობის მანქენებელს შდინარის ხეობაში, აქ შირითადია ხეობის განფენილობა (სიგანე), სიღრმე, აგებულება (კალისზედა ტერასების არხეობა, ფერდობის დანაწევრება, რდევის ხარისხი), ტუიანობის მანქენებელი და ტუის სახეობრივი შემადგენლობა.

რეგეიონის რეკრეაციულ შეფასებაში ერთ-ერთი შირითადია შიხი შიხადგომლობა და ბტკ-ის შიგნით მანქენირების შესაძლებლობა (ფეხით, ველოსიპედით, შოტოციკლეტით, ავტომანქანით), რაც განისაზღვრება ზედაპირული დანაწევრების სიხშირით, გრუნტის შექანიკური შედეგნილობით, დაჭობების ხარისხით, ტუიანობის მანქენებლით (გამწვანებით), შიდროქსელის სიხშირით და სხვ.

რეკრეაციული მურნეობის ერთ-ერთი შირითადი ფაქტორია სასმელი წყლით უზრუნველყოფა, რომელიც განისაზღვრება შიდროქსელის სიხშირით, წყაროებისა და ჭაბურღილებს რაოდენობით და დებიტის ხარისხით. რაც შეეხება ტერიტორიის შრავალფეროვნებას, მასში იგულისხმება რეკრეაციის შიხნით ტერიტორიის შრავალშხირი გამოყენების შესაძლებლობა – ხამოყარული ნადირობა (სარწწო ფაუნის არხეობა და მასზე ნადირობის ნეზადართულობა), სოკოსა და კეკრის კრეფა, სათხილამურო სორტი (რელიეფისა და ტუის საფარის სათანადო პირობები), ბანაობა (ტბებისა და წყალსატევების არხეობა), ფოტოგრაფირება (მიმზიდველი დანდშაფტების სიხვე) და სხვ. შდინარისა და ზღვისპირა რაიონებში ამ მანქენებლებს უმეტესად საწყლო სორტის განსაზღვრული შესაძლებლობები (შდინარის სიღრმე, ჩქერების, ჭორომებისა და სხვა ხელშეშლელი ბარიერების არხეობა). ასევე, ანგარიშგანსაკუთრებულია შრავლების რაოდენობა და ხარისხი (ნიეთიური შემადგენლობა), წყლის დაბინ-



ბურების მდგომარეობა და სხვ. თითოეული ზემოაღნიშნული ფაქტორის შეფასებამ შესაძლებს სათანადო სისტემით (ბალური მანევრებლებით), რაც საბოლოოდ იძლევა ღირსშესაფასებელ ან მისი ცალკეული ნაწილის ღანდშაფტურ-რეკრეაციულ შეფასებას (რეკრეაციული ტევა-დობის ხარისხი). თუმცა, ბუნებრივია ყველა ფაქტორს ერთიანი როლი არ ენიჭება რეკრეაციული ღანდშაფტების ფუნქციონირებაში. ჩვენი აზრით, მათ შორის რეკრეანტთა მოზიდვაში ერთ-ერთი უმთავრესია ტერიტორიის ესთეტიკური მიმზიდველობა (2 ქულა), რომლის როლი სეზონების მიხედვით თითქმის უცვლელია. მრავალფეროვნების ფაქტორს კი უნდა მიენიჭოს 1 ქულა, ვინაიდან, ჯერ ერთი, ის წლის სეზონების მიხედვით მნიშვნელოვნად იცვლება და მეორეც, მისი ხარისხი, გარკვეულწილად, დამოკიდებულია დამსვენებელთა ინდივიდუალურ მოთხოვნებზე (მთიეულებებისათვის მნიშვნელოვანია მდინარისა და ტბის წყალში თევზის არსებობის პერიოდი, ნაპირების მისადგომობა; „ტყის ნობათის“ შემტოვრებელთათვის – სოკოებისა და კენკრის სიუხვე, რომელიც ძირითადად ივლის-სექტემბრის პერიოდს ემთხვევა და ა.შ.). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეკრეაციული მრავალფეროვნების ფაქტორი მსხველდობაში უნდა იქნეს მიღებული ღანდშაფტების ესთეტიკური შეფასების დროსაც, ვინაიდან რელიეფის დანაწევრება, ტყიანობა, ბუნების ეგზოტიკური ქმნილებები და სხვა სახეც ემყარება ზოგადად ღანდშაფტის ესთეტიკური მიმზიდველობა, თავის მხრივ, განსაზღვრავს მის მრავალფეროვნებას.

გამომდინარე იქიდან, რომ ტერიტორიის შიგნით მანევრირების შესაძლებლობაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ტერიტორიის (ბტკ) მისადგომობის ხარისხიც, ამ ფაქტორს შეიძლება მივაკუთვნოთ 2 ქულა. მოკლევადიანი დასვენების პერიოდში წყალუზრუნველოფას (სახმელი წყლის წაღება შეიძლება სახლიდან) დაქვემდებარებული როლი კეთილის და ფასდება 1 ქულით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლებელია ტერიტორიის ღანდშაფტურ-რეკრეაციული ათვისების დონის შესაფასებლად გამოყენებულ იქნეს ღანდშაფტურ-რეკრეაციული ათვისების ინდექსი, რომელიც გამოითვლება ფორმულით:

$$i = \frac{\Pi_M}{K_X \Pi_{II}}$$

სადაც, I – ტერიტორიის ღანდშაფტურ-რეკრეაციული ათვისების ინდექსია, Π_M – ტურიტული ობიექტების სიმჭიდროვე ბტკ-ში, K_X – ბუნებრივი პირობების რეკრეაციული ვარიაციანობის კოეფიციენტი, Π_{II} – მოსახლეობის სიმჭიდროვე მოცემულ ბტკ-ში.

ამგვარად, ტერიტორიის რეკრეაციული ბონიტირებისას (ბონირების) შესაძლებელია გამოიყოს ბტკ-ის ღანდშაფტურ-რეკრეაციული გამოყენების 4 კატეგორია: მაღალ ხელსაყრელი (კოეფიციენტი – 4), ხელსაყრელი (კოეფიციენტი – 3), შედარებით ხელსაყრელი ($K - 2$), ნაკლებ ან თითქმის არახელსაყრელი ($K - 1$). აღნიშნული დამოკიდებულებისა და I-ური ინდექსის „წონის“ მიხედვით, საქართველოს შავი ზღვისპირეთში შესაძლებელია გამოიყოს ბტკ-ების რეკრეაციული ტევადობის 3 ტიპი: მაღალი, საშუალო, დაბალი. მაღალი რეკრეაციული ტევადობის ბტკებს მივაკუთვნებ ტერიტორიას, რომელთაც ახასიათებთ მრავალფეროვანი რეკრეაციული გამოყენების შესაძლებლობა (სათანადო რელიეფი, რეკრეაციულად ფასეული საწვლო ობიექტები, მაღალი ტყიანობის მანქნებელი, მისადგომობა, მიმზიდველობა და სხვა) – დიდ მდინარეთა ზემო წელის ხეობა, ზღვისპირა ზოლი). საშუალო რეკრეაციული ტევადობით ხასიათდება ღანდშაფტები, რომლებსაც დასვენებისათვის შედარებით ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები აქვთ, თუმცა ადამიანის მიერ მეტ-ნაკლებად ათვისებული და სახეშეკვდილია, დაბალი ბუნებრივ-ფუნქციონირების ტევადობის ბტკებში ერთიანდება ტერიტორიები შედარებით ერთგვაროვანი ღანდშაფტური სტრუქტურით, მცირე ხარისხის ტყიანობით და სამეურნეო ათვისების მაღალი მანქნებლებით, ამ კატეგორიას მიეკუთვნება ათვისებული ვორაკ-ბორცვების და ჭაღის ღანდშაფტები, რეგულირებული წყლის რეჟიმით, მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვით.

Seperteladze Z., Davitaia E.

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia***Summary**

The authors have worked out the geographical aspects for the evaluation of natural-recreational landscapes. The natural factors have been selected, which directly influence the attractiveness and volume of natural –territorial complexes. The authors have indentified the evaluation system for landscapes and their separate components, the stages of landscape planning of recreational areas and criteria for distinguishing natural-recreational zones. The theoretical issues discussed in the article can serve to be the methodological basis for the appropriate natural-recreational territory planning.

**ЛАНДШАФТНЫЕ ОСНОВЫ ТУРИСТСКО–РЕКРЕАЦИОННОЙ
 ОЦЕНКИ РЕГИОНА**
*Сепертеладзе З., Давитая Е.**Тбилисский государственный университет им. Ив. Джавахишвили***Резюме**

В статье разработаны физико - географические аспекты оценки естественно - рекреационных ландшафтов. Был выбран те природные факторы, которые непосредственно влияют на привлекательность ПТК и на ее рекреационной емкости. Так же, установлена базисная система рекреационной оценки ПТК и ее компонентов. Выявлены этапы ландшафтного планирования зоны отдыха и критерии выделения природно-рекреационных зон (зонирования). Теоретические вопросы, разработанные в статье, могут рассматриваться в качестве методологической основы, для оптимального естественно-рекреационного планирования территории.

ლიტერატურა

- ალექსიძე მ., დავითაია ე. (2003). კოლხეთის შავეზდვისპირეთის ბუნების დაცვისა და ბუნებათ-სარეკლობის პრობლემები, „გეოგრაფია და თანამედროვეობა“. თბ. გვ. 135-141;
- პავლიაშვილი ნ. (2003). ტურისტულ-რეკრეაციული მუდრეობა. კრებ. საქართველოს გეოგრაფია. ნაწ. II. გამომც. „მედია-სერვისი“. თბილისი. გვ. 167-181;
- Котляров Е. А. (1978). География отдыха и туризма. изд. «Мысль». М. с. 6-53;
- Пригула Т. Ю. (1974). Методический опыт рекреационной оценки административной области на основе ландшафтных исследований. Вопросы ландшафтоведения. изд. «Выстрель». М. с. 160-174;
- Шеффер Е. Г. (1975). Об определении коэффициента устройчивости природного геокмплекса к рекреационным нагрузкам. Географические проблемы организации туризма и отдыха. Вып. I. изд. «Туризм». М. с. 68-71;
- Чума П. (1983). Оценка рекреационной емкости территории Венгрии для целей рекреационного проектирования. Сб. тр. « Охрана ландшафтов и проектирование». Изд. «Авангард». М., с.174-178;
- Seperteladze Z., Davitaia E., (2007). Natural Anthropogenic Mining Complexes and the Problems of their Optimization. Bulletin Georgian national Academy of sciences. New.Series. vol. I no. 3. Tbilisi p. 64-66.

მალფენიძე* ზ.სეფერთელაძე, ედავითაია**,
თალექსიძე**, ნრუხაძე****

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ფ. ჯავახიშვილის ხაზ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზღვის სანაპიროს ათვისება დასაბუთებული ღონისძიებების შემუშავებას მოითხოვს. კვლევის მიზანი შავი ზღვის კოლხეთის სანაპიროს „ადამიანი-ბუნება-წარმოება“ სისტემურ სრულყოფას ემსახურება. კოლხეთის ჭაობების დაშრობასთან დაკავშირებით პიდროტექნიკურ-მელორაციული პროექტების რეალიზაციამ დატობრვა, მეორადი დაჭაობება და პევის მარეგულირებელი უნარის დაქვეითება გამოიწვია. მათი სტაბილიზაციის ღონისძიებების (მიწაყრილები, არხები, ხარჯების რეგულირება, კოლმატაჟი და რეგულირება, ნაკადის პოლიფურკაცია) რეალიზაციამ ნეგატიური („ქვიშის ქარბუქი“, წყალმოვარდნა, ნაპირების ნგრევა და პლაჟების წარცხვა) შედეგები მოგვცა.

ამ პრობლემების გეოგრაფიული თვალსაზრისით გადაწყვეტის მიზნით ავტორების დაინტერესება გამოწვეულია: 1. კოლხეთის ზღვისპირა პერიმეტრზე ტურისტულ-რეკრაციული ობიექტების დაგეგმარებასთან დაკავშირებით მიკროკლიმატის, ნიადაგებისა და გრუნტის წყლების რეჟიმების ნეგატიური ცვლილებებით; 2. მდ.მდ. კოლორი-ენგურის ალუვიური და პლაჟის ინერტული მასალის გაზიდვასთან დაკავშირებით სანაპიროს წონასწორობის დარღვევითა და ონაშირე-ფოთის პლაჟის წარცხვის მოხალდნელი გააქტიურებით.

ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ბუნებრივ სისტემებში დინამიკური წონასწორობის (Сочава, 1978) დარღვევასთან. აქ, „ახალგაზრდა“ სისტემები (ჭაობი, პლაჟი) წონასწორობის შენარჩუნებას მხოლოდ მცირე დატვირთვების შემთხვევაში აელენენ, „სიმწიფის“ სტადიაში კი მდგრადი კომპლექსები ყალიბდება. ამჟამად, რომ „ახლა-ნაპირის“ წონასწორობის დარღვევა (ნატანის ხელოვნური დეფიციტი) სისტემის ფუნქციონირების მოშლას განაპირობებს. მათი ნეგატიური ტრანსფორმაცია ალუვიონის დეფიციტს უკავშირდება.

მდ. ენგურის მადლივი (272 მ) კაშხლის აგებამ მისი ალუვიონის პლაჟის ფრაქცია 370 ათას მ³-ით შეამცირა (Джаошвили, 1986). ზღვის კიდმაც უკან დაიხია. ეს ტენდენცია დღემდე გრძელდება. ამ პირობებში ინერტული მასალის გაზიდვის პლაჟის ზოლის უდავო დეგრადაცია უნდა მოყვეს, რაც რეგიონის ათვისების პერსპექტივას ეჭვქვეშ აყენებს. ამ მხრივ, ჩვენი ამოცანა სანაპიროს მოწესრიგების ღონისძიებების შემუშავებაში მდგომარეობს.

დაბლობის ზღვისპირა იდეალურ ვაკეზე მდ.მდ. ჭურიისა და თიქორის ალუვიონით ფორმირებულ დიუნებს (4-6 მ) შორის ჭაობების ნიშნულები 1-3 მ, ზოგჯერ (ტბა ხარკაღუ) ზღვის დონეზე დაბლა ჩამოდის. ჭაობების სიღრმეები 1-1,5 მ-ს, ხოლო წყლის მოცულობა 14-15 მლნ მ³ აღწევს (Колхидская..., 1973).

ყველაზე ხშირი საშპირო-დისპალური (33 %) და დასავლური (25 %) მიმართულების ტალღების სიმაღლე 5,0 მ აღემატება, მაქსიმალური კი 9,0 მ აღწევს. ზღვის დამრეც ფსკერზე ტალღების რეფრაქცია ძლიერია. ამიტომ, მათი ენერგია მცირდება, ხოლო ფონტი იზობათების პარალელურად, სხივები კი ნორმალის (φ=90°) მიმართულებით ღაგდება. ამის გამო, ნაპირის გასწვრივი ნაკადი მცირე სიმძლავრისაა, ხშირად კი, შემხვედრი მიგრაციები შეიძლება.

მდ. ენგურის შესართავისპირა წყალქვეშა სანაპირო ფერდობი ვიწროა. აქ, ენგურის წყალქვეშა კანიონის ხაოვის ხაზი შტო ერთ მიავარ კალაპოტში (სიღრმე 90-120 მ) ერთიანდება (Лсонтсв, ..., 1973).



ამ პირობებში ზღვის ნაპირის მდგომარეობა რთული პრობლემების წინაშეა. რეგულაციების ბუნებრივი მოვლენებისა და სამეურნეო პრაქტიკის პარამონის დამკვიდრების, ასევე მეურნეობის დაქვეითების „საქმიანობის“ შედეგების გეოგრაფიულ-ტექნოლოგიური გააზრებიდან გამომდინარე, ავტორთა მიერ შემოთავაზებული სანაპირო ზოლის აწინდელი მდგომარეობისა და მისი გონივრული ათვისების მოსაზრებებია:

1. მდ. ენგურის ხეობაში შექმნილმა დატვირთვებმა გამოიწვიეს: ბუნებრივი გაწმენდის შეფერხება და კალაპოტში გუბურებისა და ტბორების გაჩენა; დოკალური ბუნებრივი გაბინძურებისა და ანტიხინიტარიის კერების წარმოქმნა; პლაჟის მასალის დეფიციტი (241,0 ათასი მ³/წწ) და სანაპირო ზონის წონასწორობის დარღვევა. პლაჟის დეფიციტის შევსების მიზნით მდ. ენგურის კალაპოტიდან 400 მლნ მ³ ალუვიური მასალის დამუშავება (ავტორები გ. შეტრეველი და ა. კიკნაძე) და პლაჟის ზოლში მოხიდვა; კოკი-ორსანტია-ანაკლიას შორის (8 კმ) სპორტული კომპლექსის აგება; სპორტული და აქტიური დასვენების ობიექტების მოწყობა;

2. მდ. ენგურის შესართავთან წყალქვეშა კანიონის მიერ მდ. ენგურის ალუვიური მასალის შთანთქმის გამო კანიონის უკან დახვევის (აქტიურობის შეჩელება) ტენდენციის ხელშეწყობა მდ. ენგურის ზღვისპირა პერიფერიაზე (მდ. ენგურის შესართავთან) საზღვაო პორტის აგების წინაპირობაა. ამავე დროს, პორტის აკცელორების მხოლოდ ორი მოდით (სიღრმე 8-10 მ) შემოსაზღვრავს უზრუნველყოფს ე.წ. „წელვადი“ ტალღების შემოღწევისა და ფსკერის მოსიღვის თავიდან აცილებას;

3. ბუნებისა და კულტურის მემკვიდრეობის მემკვიდრეობის ისტორიული პრაქტიკის დამკვიდრების მიზნით, ქვიშაინი (ანაკლია-მდ. ჭურია) და კუნძური პლაჟები (განმუხურის მიდამოები), მარჩხი სანაპირო ზონა, ასევე მენჯისა და ციანის მინერალური წყლების რესურსები რეგიონის რეკრეაციული ბუნებათსარგებლობის პერსპექტივას შექმნის;

4. მიზანშეწონილია: განმუხურე-ბათუმის ზღვისპირა საავტომობილო მაგისტრალია და მალაშთიანი სვანეთის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა, ასევე საბაგრო გზისა და ინგირის აეროდრომის აგება, რაც „მოთა-ზღვა-ნაპირის“ სისტემის ერთიანი კომპლექსის შექმნის წინაპირობაა;

5. კოლხეთის ზღვისპირა ზოლის ათვისებისას მსდევლობაში მისაღები ერთიანი საკურორტო-რეკრეაციული, სანიტარულ-ბათიური და გარემოს მდგრადი განვითარების პროექტების შემუშავება და რეალიზაცია:

- საკურორტო ინფრასტრუქტურის დაგეგმარებისას მათი სიერციით განლაგების, პლაჟისა და დასვენების ზონების მოწყობის, თანამედროვე ტექნოლოგიური დაძირვის პირობების გათვალისწინება, ზღვის დონის აწევის თანამედროვე ტენდენციის მოდელირება და პროგნოზი;

- საზღვაო ბალნეოლოგიური კომპლექსის მოწყობისას ზღვის სანაპიროს ბიოტური კომპონენტების ქვეყისა და ეკოსისტემის ნეგატიური ნიშნების გათვალისწინების მიზნით ვეგეტაციის ფაზებში პლანქტონის რეგულირების დანერგვით წყლის ეკოსისტემის მართვის ბერეკტების ამოქმედება;

- ჰაობების ფრაგმენტული დაშრობით გამოწვეული მიკროკლიმატური ცვლილებების პოზიტიური (კლიმატის კომფორტული მდგომარეობა) და ნეგატიური (ტემპერატურის ცვლადობა, ტენიანობის ამლიტუდათა პიკების ზრდა) შედეგების (წყლის ბალანსის, ნიადაგ-სტენარეულობის ცვლილება და მკორადი დაჰაობება) რეგულირება.

ამგვარად, კოლხეთის შავი ზღვისპირა ზოლის პერსპექტიული განვითარების საკურორტო-რეკრეაციული ზონის პრაქტიკულ რეალიზაციას რეალური საფუძველი გააჩნია, რომელიც ეკონომიკური და სოციალური ეფექტურობით ხასიათდება. სახეზეა პოლიტიკური დატვირთვა: მატერიალური და კულტურული მემკვიდრეობის ნგრევისა და დეგრადაციის უცილობელი აღტერნატივა აღმშენებლობა და გონივრული პროექტების რეალიზაცია, ასევე



მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიღწევა, რაც რეგიონის საერთაშორისო დარტყმის შესაბამისად მოწესრიგებადი, საინტერესო და მისაბაძო ქმედებაა.

PROBLEMS OF ADAPTATION OF BLACK SEA COASTAL REGION OF KOLKHETI

*Alpenidze M. *, Seperteladze Z. **, Davitaia E. **, Aleksidze T. **, Rukhadze N. ***
**Sokhumi State University*
*** Iv.Javakhishvili Tbilisi State University*

Summary

- Recommended:** 1. Filling up of deficit of beach with the material of the riverbed of Enguri river, pulling pout for construction: of sports complex on Koki-Orsantia-Anaklia section (8 km);
2. Construction of objects for recreation (golf, tennis) as well as traditional objects (stadium, racecourse);
3. Based on nature-cultural phenomenon: a) restoration of sand and gravel beaches, perspective objects in Tsaishi and Menji; b) Arrangement of Zugdidi-Mestia highway and highway along the coast (Ganmukhuri-Anaklia-Churia-Kulevi); Arrangement of areas of historic, architectural, ethnic heritage (Svaneti); Construction of Anaklia Port; c) Planning of joint "mountain-sea-shore" system.

ПРОБЛЕМЫ РАЦИОНАЛЬНОГО ОСВОЕНИЯ ЧЕРНОМОРСКОГО ПОБЕРЕЖЬЯ КОЛХИДЫ

*Алпенидзе М.Д. *, Сепертеладзе З. Х. **, Давитая Э. Ф. **, Алексиdze Т.И. **, Рухадзе Н.Э. ***
**Сухумский Гос. Университет*
***Тбилисский Гос. Университет им И. Джавахишвили*

Резюме

- Предложено:** 1. Материалом выборки из русла р. Ингури восполнение дефицита пляжей и использование его для нужд строительства: на отрезке Кокки-Орсантия-Анаклиа (8 км) и строительство спортивного комплекса;
2. Строительство объектов активного (гольф, теннис) и традиционного (стадион, ипподром) отдыха;
3. На основе изучения природы и культуры: а). Восстановление песчаных и галечных пляжей, возрождение перспективных объектов Менджи и Цаиши; б). Строительство магистралей Зугдиди-Местия и Ганмухури-Анаклиа-Гикори-Чурия-Кулеви; Создание очагов исторических, архитектурных, этнических наследия (Сванетия); строительство морского порта в Анаклии; в). Планирование единой системы «горы-море-берег».

ლიტერატურა

აღვანიძე მ. (2007). საქართველოს შავი ზღვისპირეთის რაციონალური ბუნებათ-სარგებლობის პრობლემები. სოხუმის სახ. უნივერსიტეტის შრომები, საბუნ. მეცნ. სერია, ტ.2, თბ.

- აღვნიძე მ., დავითაია ე. (2003). კოლხეთის შავი ზღვისპირეთის რაციონალური ბუნებრივი სარგებლობის რეგიონულ-გეოგრაფიული საკითხები. „მეცნიერება და თანამედროვეობა“, თბ., მეცნიერება, გვ.135-142.
- აღვნიძე მ., ციციქიშვილი მ., ფრანგიშვილი ი. (1995). შავი ზღვის აუზის რესურსების ეკოლოგიურად უსაფრთხო ათვისების საერთაშორისო კომპლექსური პროგრამა. იუნესკო, საქ. მეცნ. აკად. სამეცნ. კონფ. „ზღვა და ადამიანი“, თბ., გვ. 186-187.
- Галанов Л.Г., Сафьянов Г.А. (1972). Отложения, рельеф и литодинамика верховьев Ингурского подводного каньона. Докл. симпозиума по инженерно-геологическим условиям шельфовой зоны Чепного моря, Тбилиси.
- Джаошвили Ш. В. (1986).Речные наносы и пляжеобразование на Черноморском побережье Грузии, Тбилиси, с. 156.
- Зенкович В.П. (1976).Ожидание изменения морского берега на севере Колхиды. Сообщ. АН ГССР 83, №3.
- Кикнадзе А.Г. (1977). Динамические системы и бюджет наносов вдоль Черноморских берегов Грузии. В сб.: Человек и окружающая среда, “Алашара”, Сухуми.
- Колхидская низменность (1990). Научные предпосылки и освоения. М., с.248.
- Леонтьев О.К., Сафьянов Г. А. (1973). Каньоны под морем. Мысль, М.
- Ломინაძე Г., მეგრელი ნ., რუსო გ. (2006). Изменение динамики береговой зоны Черного моря под влиянием техногенных факторов. Изменения природной среды на рубеже тысячелетий. Тр. Межд. электр.конф.Тб., М., с. 133-139.
- Сочава В.В. (1978). Введение в учение о геосистемах. Новосибирск, Наука, - с. 318.

**კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიანი ტერიტორიების
ვოთი-მოკლუათის მიპროუზანის ბუნებრივი
ვატრორების შოვანება**

გ.დვდაშვილი*, ზ.გულაშვილი*, კალექსანდრიძე*, სყვავაძე**

* თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტი

** სსიპ გრიგოლ წულუკიძის საბოთ ინსტიტუტი

ჭარბტენიანი ტერიტორიების შესწავლა და დაცვა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიო მასშტაბითაც პრობლემატურ საკითხთა რიცხვაშია შეტანილი. სწორედ ამ პრობლემის გარშემო გაერთიანდა 1971 წელს საერთაშორისო საზოგადოება ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვის შესახებ მიღებული რამსარის კონვენციით. 1997 წლიდან კონვენციის კოლხეთის დაბლობზე არსებული ჭარბტენიანი ტერიტორიებიც მიუერთდა და მათ მსოფლიო მნიშვნელობის ჭაობების სტატუსი მიენიჭა. ამ ფაქტით ხაზი გაესვა კოლხეთის ტერიტორიაზე არსებული ჭარბტენიანი ლანდშაფტების ბიომრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების მნიშვნელობას.

კოლხეთის ტერიტორიაზე კომპლექსური კვლევების წარმოება ამ ტერიტორიის საკმაოდ დიდი ფართობის გამო ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. მაშინდელი მელიორაციული ღონისძიებები შეიცავდა არასწორი მენეჯმენტის ელემენტებს საშუალოა დაპროექტების მხრივ. ბუნებრივ პირობებზე დაკვირვებების სტატისტიკური მონაცემები გროვდებოდა დასახლებულ პუნქტებში მოწყობილი სადგურების მეშვეობით, მათგან მოშორებით კი, არა. ამიტომ ეს პარამეტრები სრულად მაინც ვერ ასახავდა ამ ტერიტორიაზე დაჭაობების გამომწვევი ფაქტორების წარმოქმნის ზუსტ მიზეზებს. შესაბამისად, 1990 წლამდე მიღებულ დაკვირვების მონაცემებზე დაყრდნობით რთულია მეცნიერულად ფაქტობრივი დასკვნების გამოტანა. იმავდროულად ტარდებოდა მხოლოდ ეკონომიკური ეფექტის გაზრდისკენ მიმართული საშუალებები ჭაობების დაშრობის გზით. ამ მეთოდით მიდგომა კი რიგ შემთხვევებში აუნაზღაურებელი სტიქიური მოვლენები გამოიწვია.

უნდა ითქვას, რომ კოლხეთის დაბლობის დაჭაობებული ზღვისპირა რეგიონები დღესაც სტიქიურად ერთ-ერთ საშიშ ხონას წარმოადგენენ, რადგან არ ტარდება სტიქიის თავიდან ასაცილებელი რაიმე სახის დამცავი ღონისძიებები. შეგვიძლია გავიხსენოთ 100 წლის წინანდელი პერიოდი, როცა 1895 წელს დიდი წვიმების შედეგად აღიდებულმა მდინარეებმა დაუცველ ტერიტორიაზე თავისუფალი გადადღვლებით დატბორეს ქ. ფოთი და მისი მიმდებარე სოფლები. სტიქიამ გაანადგურა მოსახლეობის ქონება და უღიდესი ზარალი მიაყენა ქალაქს. მსგავსი სტიქიური მოვლენა დაფიქსირდა გასული საუკუნის 80-იან წლებში მდინარე რიონის აღიდების შედეგად. ამ პროცესების შეფასება რა თქმა უნდა, მხოლოდ ერთი მახასიათებლით არ შეიძლება, აქ მოქმედებდა და დღესაც მოქმედებს გარემოს მთელი რიგი ფიზიკურ-გეოგრაფიული ფაქტორების ცვალებადობა (კლიმატი, ჭაობების მორფომეტრიული მახასიათებლები, წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზია და ა.შ.). ასე რომ, ვერ ვიტყვით რომ, დღეს, 21-ე საუკუნეში, აბსოლუტურად დაცული ვართ მსგავსი უბედურებებისაგან.

მე-20 საუკუნეში გატარებული ღონისძიებები სტიქიურ უბედურებებს ჭაობების ამოშრობით ებრძოდა, მაგრამ აქ უკვე თავი იჩინა ისეთმა პრობლემამ, როგორცაა ჭაობების წყლის უარყოფითი ბალანსის დაფიქსირება და ზღვის შემოტევის საშიშროების გაზრდა, და რაც მთავარია არსებული ეკოლოგიური ბალანსის დარღვევა. უნდა აღინიშნოს, რომ მაშინდელ საქართველოში გარემოს დაცვის საკითხი ყურადღების ნაკლებობას განიცდიდა

და ამის გამო ხშირად ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებს გაუთვალისწინებლად ეწინააღმდეგება უნიკალური ღანდშაფტები და ირლენდის ბუნებრივი წონასწორობები. შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ პერიოდშიც იკვეთება რიგი სამწუხარო ტენდენციები, რაც გვარწმუნებს იმაში, რომ ამ უხეში შეცდომების გამო დღევანდელი ქართული საზოგადოება კვლავ დგას ეკოლოგიური თვითშეგნების ამაღლების საჭიროების წინაშე (მარუაშვილი, 1964).

დაცული ტერიტორიები გადამზრევი ფრინველებისთვის მეტად მნიშვნელოვან ობიექტებს წარმოადგენენ - ისინი გადასაფრენი ტრასების შემადგენელი პუნქტებია და ზოგიერთი აქ მოზამთრე ფრინველისთვის გარკვეული დროით თავშესაფრის როლი აკისრიათ, რაც დამატებით რეკრეაციულ ფუნქციას მატებს კოლხეთის დაბლობის ნაკრძალს. ბუნებრივ გარემოზე ანთროპოგენური ფაქტორების ძლიერი ზეგავლენა კი უარყოფითად მოქმედებს ადგილობრივი და სტუმარი პაბიტატებისთვის კომფორტული საარსებო გარემოს შენარუნებაზე. გარდა ამისა ამ ფართობებზე შემონახულია კოლხური რელიქტური ტყის მსიხეები, რომლებიც კოლხეთის ტერიტორიაზე უძველეს წარსულში ტროპიკული ზონისთვის დამახასიათებელი ფლორის გავრცელების უტყუარი ფაქტია და მათი დაცვა-შენარუნების პრობლემა ჩვენი უპირველესი მოვალეობაა.

საქართველოს განსვლელი შვე ზღვაზე ეკონომიკის დარგების ახალი მიმართულებების ფორმირების აუცილებლობას ქმნის, რასაც დაგეგმარების პროცესში ადგილობრივი ბუნებრივი პირობების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება შეუძლია ამ ტიპის ეკოლანდშაფტებისთვის და უარეს შემთხვევაში შეიძლება მათი გაქობაც გამოიწვიოს. ეს არ ნიშნავს, რომ ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვა რეგიონში ეკონომიკის დარგების განვითარების შეწყვეტას გულისხმობს, პირიქით, ტექნიკური პროგრესი უნდა ვითარდებოდეს ბუნებასთან პარამონურ დამოკიდებულებაში და ფუნდამენტური კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიანი ტერიტორიების გარკვეული ნაწილი საერთაშორისო მნიშვნელობის ადგილებადაა მიჩნეული. მათ გარდა რამსარის კონვენცია მთელი მსოფლიოს მასშტაბით კიდევ 2129 ტერიტორიას ითვლის. ეს რიცხვი ხაზს უსვამს ჭარბტენიანი ტერიტორიების უდიდეს მნიშვნელობას როგორც ეკოლოგიური წონასწორობის, ასევე ბიომრავალფეროვნების შენარუნების საქმეში. რამსარის კონვენცია საქართველოში ვრცელდება კოლხეთის დაბლობზე არსებული ეროვნული პარკის და ქობულეთის დაცული ტერიტორიების ფარგლებში. მათი ფართობი დაახლოებით 627 კმ²-ია, დაჭაობებული ტერიტორიები კი ვაცილებით დიდ ფართობს მოიცავს და შესაბამისად დღეისათვის ნაკლებად შესწავლილ ტერიტორიებს წარმოადგენენ.

ცხრილი

ძირითადი ცნობები კოლხეთის დაბლობის ზოგიერთი ჭაობის შესახებ

ჭაობი	ადგილმდებარეობა	სიმაღლე ზ.მ. დან მ.შ.	საშუალო სიღრმე მ.	ფართობი კმ ²	წილის მოცულობა ჰექტარში
ჭადადიდი-ფოთის	მდ. რონისა და ხობს შორის	12,5	1,5	144	194
ფიწორა-პალიასტომის	მდ. ფიწორას ორივე მხარეს	0,5-1,8	8,0	191	1365
ისპანის 1-ლი და ისპანის მე-2	მდ. ნილოქის და ოჩხამურის აუზები	1,5	2,0	19,0	103
ნატანები-სუფსის	მდ. ნატანებსა და სუფსის შორის	0,5-1,5	7,0	15,0	202

ჭაობები კოლხეთის დაბლობზე იყოფა რამდენიმე მასივად, რომელთაგან შუიძლება გამოვარჩიოთ ანაკლია-ჭურის, რიონი-ხობის, პალიასტომი-ფიორის, იმნათის, სუფსის, ნატანების, ისპანის და სხვა. ცხრილში მოცემულია ზოგიერთი ჭაობის მორფომეტრული მონაცემები:

როგორც ცხრილიდან ჩანს, წყლის ყველაზე დიდი რესურსებით გამოირჩევიან ფიორა-პალიასტომის, ქობულეთის და ჭალადიდი-ფიორის ჭაობიანი მასივები.

ამ ტერიტორიების მეცნიერული შესწავლა ჯერ კიდევ XIX საუკუნის მიწურულიდან დაიწყო ცალკეული მეცნიერების მიერ. ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მეცნიერებმა: რ. პაპისოვმა, ვ. ფილოსოფოვმა, გ. კოსტავამ, ა. მოწერელიამ და სხვებმა. მათ მიერ წლების განმავლობაში მუშავდებოდა კოლხეთის ჭარბტენიანი ნიადაგების სამეურნეო ათვისების საკითხები. ეს სამუშაოები გულისხმობდა კოლხეთის ნიადაგების დაშრობას და სასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყენებას. ჭაობების დაშრობის საქმეში 1920-იანი წლებიდან ჩაერთო ორგანიზაცია „კოლხიდიშენი“, რომელიც აღიჭურვა დამშრობი სამელიორაციო ტექნიკით და ტრაქტორებით. „კოლხიდიშენის“ მიერ მობილიზებული იქნა საშუალო ძალები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან და დანქარებული წესით მიმდინარეობდა დაშრობითი სამუშაოები (საინფორმაციო ბიულეტენი, 2010).

დაშრობის ღონისძიებები ნაწილობრივ მიმართული იყო აქ არსებული ეპიდემიური მდგომარეობის წინააღმდეგაც. ისტორიულ წარსულში აქაური მოსახლეობისთვის უდიდეს პრობლემას წარმოადგენდა მალარია, რაც დიდ სიკვდილიანობას იწვევდა. ჭაობების დაშრობით ეს პრობლემა რამდენადმე აღმოფხვრა და მიმე ფინი გამოსწორების გზას დაადგა.

სასოფლო-სამეურნეო მიზნებით გამოყენებისთვის ჭაობების დაშრობის წარმოებისთვის შეიქმნა კოლხეთის საცდელ-სამელიორაციო სადგურიც, სადაც ტესტირებას გადაიოდა და პრაქტიკაში იხერგებოდა დაშრობის სხვადასხვა მეთოდები. ერთ-ერთი მისიონად ღონისძიება იყო სადრენაჟო და კვალის სისტემების მოწყობა. შესაბამისად, ეს სისტემები ხელს უწყობდა გრუნტში ჩაონილი წყლის გამოტანას ნიადაგიდან და სიმშრალის შენარჩუნებას. დაშრობილ ტერიტორიებზე გათვალისწინებული იყო სუბტროპიკული კულტურების პლანტაციების გაშენება და სასოფლო პროდუქციის გაზრდა, ნავარაუდები იყო, რომ კოლხეთის დაბლობის მიწების საბოლოო დაშრობისა და ათვისების შემდეგ მოყვანილი პროდუქცია მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფაში (ხმალაძე, 2009).

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ყველა ეს ღონისძიება ქვეყნის ეკონომიკური შემოსავლების გაზრდისკენ იყო მიმართული, მაგრამ უნდა აღინიშნოს პარალელურად ხასიციოცხლოდ აუცილებელია ადგილობრივი უნიკალური ეკოსისტემების ბუნებრივი პირობების შენარჩუნების ღონისძიებების გატარებაც. ვარდა ამისა ამ ეკოსისტემების მთლიანად სამრეწველო მიზნებით გამოყენება და შესაბამისად მათი გაქრობა აუნაზღაურებელ კატასტროფებამდე მიგვიყვანს. აქ გამავალი მრავალრიცხოვანი მდინარეები და განსაკუთრებით მდ. რიონი, პიდროლოგიური რეჟიმის სეზონური პიკური მოვლენების გათვალისწინებით სტიქიურად ხაშში იბთიქტებს წარმოადგენენ. ამის ნათელი მაგალითებია 1895 და 1987 წლის წყალდიდობები, როდესაც შესაბამისად დაიბორა ქ. ფთი და მიმდებარე სოფლები და მდ. რიონის აუზის დიდი ტერიტორია, რამაც უდიდესი ზარალი მიაყენა მოსახლეობას, სოფლის მეურნეობას და ა.შ. ეს ორი ფაქტიც მოწმობს, რომ 100 წლის წინათაც და ახლაც არ ვართ სათანადოდ მზად სტიქიური მოვლენების შემხვედრი ან სტიქიის დამანგრეველი ძაღის შემპრობილებელი ღონისძიებების გასატარებლად. ჭაობების გაანთი უნიკალური უნარი მთაბინის წყლის დიდი მოცულობის აკუმულაცია და შეიძლება ითქვას, რომ უაღრესნატივო საშუალებაა სტიქიური მოვლენების შესაკავებლად და ასევე ზღვისგან გამოყოფი ბუნებრივი ბარიერის – დონების საშუალებით ზღვის

შემოტევისგან. სტიქიების თავიდან აცილებას კი უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კოლხეთის ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის უსაფრთხოდ წარმოებას (მარუაშვილი, 1964).



სურ. 1. პალიასტომის ტბა

ჭაობები საინტერესოა ტურისტულ - რეკრეაციული თვალსაზრისითაც. აქ არსებული კოლხეთის პარკი კარგი საშუალებაა აქაური ბუნებრივი ლანდშაფტების გააცნობად, რელიქტური ტყეების დასათვალიერებლად და დასასვენებლად. საკარაულოდ დიდი ეკონომიკური პოტენციალი გაიხსნა აქ არსებულ ტორფის მარაგებს ქვეყნის სოფლის მეურნეობის სასუქებით მომარაგებისთვისაც, რომლებსაც, როგორც ვარაუდობენ დანადგეჰის მინიმუმ 30 ხანტიმეტრიანი სისქე აქვთ. აღსანიშნავია სანაპირო ზოლი სასტუმრო ტურიზმის განვითარებისთვის. ამგვარად, კოლხეთის დაბლობის წყლის ობიექტების, კერძოდ ჭაობების პიდროლოგიური რეჟიმის შესწავლა სხვა ბუნებრივ პირობებთან კომპლექსში და წყლის ნაშონადენის ოპტიმალური რეგულირების სისტემის შემუშავება გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

პრობლემატური საკითხია კოლხეთის ჭაობების დღევანდელი სიტუაცია, რომელიც არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში იქნება იმ ვითარებაზე დაკრძნობით, რომ იშვიათად ტარდება კვლევები ეროვნული პარკის მცირე მონაკვეთზე და სამწუხაროდ პარკის ტერიტორიაც არაა შესწავლილი ბოლომდე. შესწავლის სურვილიც ალბათ განპირობებულია იმ ტერიტორიის საერთაშორისო სტატუსის გამო. არ ხდება დაკვირვება ბუნებრივი ფაქტორების ყოველდღიურ მიმდინარეობაზე. დაცული ტერიტორიების გარეთ არსებული დაჭაობებული მასივები კი სრულიად უყურადღებოდა მიტოვებული, სინამდვილეში კი მათ შესწავლას ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს კოლხეთის დაბლობის პოტენციალის სრულად ათვისების საქმეში და ახალი სამრეწველო პროექტების დაგეგმვაში.

რაც შეეხება დემოგრაფიულ მდგომარეობას, გართულებული სოციალური და ეკოლოგიური პირობების გამო თანდათან რთულდება მოსახლეობის ყოფაცხოვრება და ნელ-ნელა მიმდინარეობს სასარგებლო ადამიანური რესურსის გაღივება ტერიტორიიდან. ეს ფაქტი თავისთავად აფერხებს რეგიონის სწრაფ განვითარებას.

მსოფლიოში არსებობს ჭარბტენიანი ტერიტორიების მოწყობის სხვადასხვა ფორმა. კოლხეთის ჭაობები ბუნებრივი პირობებით შეიძლება შევადაროთ იაპონიაში საყოველთაოდ ცნობილი „სატოიამას“ ბუნებრივ ლანდშაფტებს - „სოციალურ-ეკოლოგიური პროდუქტიული ლანდშაფტები“. ეს გულისხმობს ჭარბტენიან ტერიტორიებზე ადამიანის განსახლებას და



ამავდროულად ამ ტერიტორიების გამოყენებას მათი ყოველგვარი ფორმის თუ სხვა მახასიათებლების ცვლილების გარეშე. ეს თანაცხოვრება დაფუძნებულია ურთიერთსაპარმონიულ ურთიერთობაზე. იაპონიაში ამგვარ ტერიტორიებზე ითვლება ბრინჯი, რაც სოფლის მეურნეობის შემოსავლის გარდა ხელს უწყობს წყლის ამგვარი ობიექტების საშუალებით წყალდიდობების თავიდან აცილებას, რადგან წყლის მასა მოქცეულია ერთგვარ ბუნებრივ სახაღრებში ნაკვეთების სახით და არ ხდება წყლის უკონტროლოდ გავრცელება და დაბატებით ტერიტორიების დაჭაობება. როგორც ისტორიული ცნობებიდან ვიგებთ ადრეულ წარსულში კოლხეთის დაბლობის მხგავსი ტიპის ტერიტორიებზე ადამიანები ცხოვრობდნენ დაახლოებით იგივე ცხოვრების სტილით, გადაადგილდებოდნენ მცირე ზომის ნაკვეთით, ცხოვრობდნენ ხიშინჯებიან სახლებში, ეწოდნენ სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების განვითარებას და წყალმომარაგებას ებრძოდნენ ბუნებრივი ბარიერების ხელშეწყობით. მაგრამ სამწუხაროდ მათი გარჯა საბოლოოდ უშედეგო აღმოჩნდა იმის გამო, რომ შეიცავდა ტექნიკური გადაწყვეტის პრიმიტიულ ელემენტებს და დროთა განმავლობაში არ ტარდებოდა საფუძვლიანი გამაგრებითი სამუშაოები. ასე რომ საფუძვლიანი სამეცნიერო შესწავლის შემდეგ შეიძლება ვთქვათ კოლხეთის ჭარბტენიანი ტერიტორიების ახალი უბრანული მოწყობის გეგმაზე იმგვარად, რომ არ დაირღვეს არსებული ბუნებრივი მრავალფეროვნება, ამაღლდეს ამ დანდაკების ეკოლოგიური მდგომარეობა, რათა უფრო მეტი ფართობი იყოს გამოყენებადი ადგილობრივი და სტუმარი მკაბიტანებისთვის როგორც კომფორტული საცხოვრებელი გარემო.

მიუხედავად ჭაობების მნიშვნელობისა, დღეს მათი შესწავლის მხრივ სამეცნიერო აქტივობა არ შეინიშნება და უფრო მეტიც, დაცული ტერიტორიების ფარგლებს გარეთ მოქცეული ჭარბტენიანი ტერიტორიები ყურადღების გარეშე დარჩენილი, რაც თავისთავად ბუნებრივი პროცესების უკონტროლოდ მიმდინარეობას უწყობს ხელს. ამას ემატება ისიც, რომ ადრე დაშრობილი ტერიტორიის დიდი ნაწილი კვლავ დაჭაობების პროცესებს განიცდის.

დაჭაობების პროცესებში მნიშვნელოვანი ფაქტორებია ადგილობრივი ჰავის ტიპები, რომელიც განაპირობებს ასევე მკუხარული სავარის და პიდროგრაფიული ქსელის განვითარებას. კლიმატის ამ და სხვა ტიპებზე საჭირო კვლევები არ წარმოებს, არ არის სამეცნიერო მიზნებით მოწყობილი მეტეოროლოგიური დაკვირვების ფართო ქსელი, ამის გამო კლიმატის ცვლილების თანამედროვე ხასიათის შეფასების შესაძლებლობა ძალიან მცირდება.

ქალაქ ფოთსა და ქობულეთს შორის არსებული დაჭაობებული ტერიტორიების მიკრორაიონი პიდროგრაფიული ქსელის თვალსაზრისით შეიძლება დავყო რამდენიმე აუზად. ამ უბანზე 1200-მდე დიდი და მცირე მდინარეა, რომლებიც ხშირ პიდროგრაფიულ ქსელს ქმნიან. აუზის სხვა მნიშვნელოვანი მდინარეებია ჩილაოქი და გუბაჩუელი.

ჭაობების მონაკვეთის პიდროგრაფიული მონაცემების აღწერით დვინდება მდინარეთა და მათი შენაკადების წყალშემკრების ფართობები სივრცის, საშუალო სივანის, საშუალო სიმაღლის, დახრილობის და ასიმეტრიის კოეფიციენტის მიხედვით; შეკრებილ ინფორმაციას სახურველია დაქმნის წყალშემკრების პიფსომეტრიული მრუდი, ტუიანობის, ტბიანობის და დაჭაობიანების მონაცემები (მესხია, 1999).

ჭაობების გეომორფოლოგიური აღწერა გულისხმობს მათი განლაგების თავისებურებებს (კალაპორტი, ტერასული და წყალგამყოფი თვისების).

კოლხეთის დაბლობის ჭაობების კვლევას უდიდესი სამეცნიერო და ეკონომიკური პოტენციალი გააჩნია. ამით იწყება დაკვირვებების ერთიანი სრულყოფილი რიგი, რომლის საფუძველზე ჩნდება შესაძლებლობები, რათა დადგინდეს ადგილობრივი ბუნებრივი პირობები. შემუშავდება დაბლობის ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის საუკეთესო რეკომენდაციები. ამ მონაცემებით კი ნარტარდება მსოფლიოში კარგად აპრობირებული რეგიონალური პასპორტიზაციის სამუშაოები. ყველა მიღებული დაკვირვების შედეგები დროთა განმავლობაში შეიქმნება პერმანენტულად განახლებადი მონაცემებით.

მიღებული შედეგების გამოიყენებას მეურნეობის თითქმის ყველა დარგი შექმნილი შრომა: პიდროტექნიკა; სოფლის მეურნეობა; მშენებლობა-პროექტირება; ტურისტულ-რეკრეაციული დაგეგმარება; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა; ენერგეტიკა; მელიორაცია; ურბანული დაგეგმარება და კომუნალური მეურნეობა.

დარწმუნებული ვართ, რომ უახლოეს მომავალში აქტუალობას შეიძენს კოლხეთის დაბლობის ახლებური ტიპის ეკონომიკურ რეგიონად ჩამოყალიბების იდეა, რასაც შედეგად მაღალტექნოლოგიური და ინფრასტრუქტურული განვითარება უნდა მოყვეს. ამიტომ უნდა დაიკეცოს განვითარების მოხვადი გეგმებიც, რაც გულისხმობს ახალი სატრანსპორტო გზების, აეროპორტების, სარკინიგზო დერეფნების, მილსადენების მშენებლობებს და ჭიშორი წარმოების (ტორფის მარაგზე) და რეკრეაციული ფუნქციის მქონე ზონების წარმოქმნას. ეს საკითხები კომპლექსური სამეცნიერო კვლევების დაწვევების აუცილებლობას ქმნის, რათა შეიქმნას ადგილობრივი ტერიტორიის მახასიათებელი მეტამონაცემების ბაზა, რითაც შეიქმნება ფუნდამენტური დოკუმენტი მომავალი დიდი პროექტების შემუშავებისა და ასევე საგარეო სტიქიური მოვლენების წინასწარი პროგნოზირების საქმეში.

EVALUATION OF NATURAL FACTORS OF KOLKHETY LOWLAND'S WETLANDS POTI-KOBULETI MICROREGION

*Dvalashvili G. *, Gulashvili Z. *, Aleksandria E. *, Kvavadze S. ***

** Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*** Lipe Grigol Tsulukidze mining institute*

Summary

The study and conservation of wetlands is included in the list of most problematic issues worldwide including Georgia. It was in 1971 when international society gathered to deal with the problem and adopted the Ramsar Convention on protecting wetlands. From 1997 wetlands in central Kolkhety joined the convention and they were designated as Wetlands of International Importance. The status emphasized the significance of conserving/maintaining the biodiversity of Kolkhety wetlands.

The research of Kolkhety wetlands has a huge scientific and economic potential. It initiates the beginning of complete collection of observations, which will enable us to determine local natural conditions. To be more specific, the observations make it possible to determine wetland water regimes in accordance with the seasons, climate conditions in every period of the year, the modern geomorphological structure of wetlands, and the effect of each above-mentioned factor in the process of swamping. Furthermore, the project results can suggest effective recommendations on economic growth of the lowland. All these data will provide enough information for undertaking worldwide approved methods of regional passportization works. All obtained observation results will gradually be filled with updated information.

ОЦЕНКА ПРИРОДНЫХ ФАКТОРОВ ПОТИ-КОБУЛЕТСКОГО МИКРОУЧАСТКА ВОДНО-БОЛОТНЫХ ТЕРРИТОРИЙ КОЛЬХИДСКОЙ НИЗМЕННОСТИ

*Двалашвили Г. *, Гулашвили З. *, Александрия Е. *, Квавадзе С. ***

** Департамент Географий факультета точных и естественных наук ИГУ*

*** Горный институт им. Гр. Цулукидзе*

Резюме

Изучение и охрана водно-болотных территорий стоит в ряде проблематических вопросов не только в Грузии, а в мировом масштабе тоже. Именно вокруг этой проблемы объединилась мировое сообщество Рамсарской конвенцией по защите водно-болотных угодий принятым в 1971 году. С 1997 года к конвенцией присоединились болотные территории кольхидской низменности и получили статус

мирового значения. Этим фактом подчеркивался особое значение охраны и биоразнообразия болотных ландшафтов на колхозидской территорий.

Проведение комплексных исследований на колхозидской территорий, из-за его большой площади, является одной из важнейшей проблемой. Проводимые в XX-м веке мелиоративные мероприятия по проектированию работ включили в себе неправильные элементы менеджмента; статистические данные наблюдения над природными условиямы велись только на станциях устроенных в населенных пунктах, а подальше от них нигде. Поэтому эти параметры полностью не дают картину точных причин вызывающих факторов заболачивания этой территорий. Соответственно, основываясь на данные наблюдения полученных до 1990 года трудно сделать научно обоснованные выводы. Одновременно в те годы проводились работы только по направлении повышения экономического эффекта в качестве осушения болот. В ряде случаев этот метод дал невозмещаемые стихийные явления.

ლიტერატურა

- ხმაღაძე გ. (2009). "საქართველოს წყლის რესურსები", თბილისი.
- საინფორმაციო ბიულეტენი (2010). (მიწისქვეშა პიდროსფეროს გეოლოგიური მდგომარეობის და ხაშიშო გეოლოგიური პროცესების შესწავლის და პროგნოზირების შესახებ). საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბ.
- მარუაშვილი ლ. (1964). საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია. თსუ. თბ. გამოცემა I, გვ. 242.
- მესხია ვ. (1999). შავი ზღვის ქვაბულის კავკასიის მიმდებარე მთიანეთის რელიეფის მორფოსტრუქტურული ანალიზი (დასავლეთ საქართველოს ფარგლებში). ავტორეფ. გეოგრ. მეცნ. დოქტორის სამეცნ. ხარისხის მოხაპოვებლად. თბ., გვ. 102.
- საქართველოს გეოგრაფია (2000). ნაწილი I, ფიზიკური გეოგრაფია, „მეცნიერება“ თბ.
- Геоморфология Грузии (1971) «Мешинереба». Тб., с.605.

კ. ხარაძე

ვახუშტი ბავრაციონის გეოგრაფიის ინსტიტუტი

ბუნებაში ცოცხალი ორგანიზმების გარდა სხვა რამეც არის საზრუნავი და დასაცავი, კერძოდ, არაცოცხალი, ანუ არაორგანული ბუნების ის ძეგლები, რომელია შენარჩუნება ნაკარნახევია ეთნოტიკური და მქცნიურული თვალსაზრისით. ეს არის გეოლოგიური, გეომორფოლოგიური და პიდროგრაფიული ძეგლები, ობიექტები, რომლებიც შთაბეჭდავ სანახაობას წარმოადგენენ, ან გვიმოწმებენ წარსულის მნიშვნელოვან ბუნებრივ მოვლემებს.

მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობების შედეგად საკუნეების მანძილზე აჭარაში შეიქმნა ნაირგვარი ბუნების ძეგლები – ფენომენები, მათ შორისაა დუნუდაციური (ქანების დაშლა) მოწმებები, ტექტონიკური (დედამიწის ქერქის მოძრაობა და დეფორმაცია) სტრუქტურის გაშიშვლებები, კანიონები, ტბები, ნანქერები, ვოკლუხები (დიდებობიანი წყაროები), განამარხებული ფლორისა და ფაუნის ადგილსამყოფლები და სხვ.

ლიტერატურული წყაროებისა და სხვადასხვა კვლევების საფუძველზე აჭარაში აღვრიცხეთ ბუნების 120-მდე ძეგლი. ეს ძეგლები სხვადასხვა ხასიათისაა, რომლის მიხედვით მოვახდინეთ ფორმათა კლასიფიკაცია და შევიმუშავეთ სათანადო პირობითი აღნიშვნები. პირველ ჯგუფში გაერთიანდა 20 ტიპი, ხოლო მორეში 7. „საქართველოს წითელი წიგნისაგან“ განსხვავებით, აჭარის არაორგანული ბუნების ძეგლების სიაში მოხდა რელიეფისა და ბუნებრივი პირობების სხვა კომპონენტების ისეთი საისტერესო ფორმები, როგორიცაა – მთებისსირა კიბეები, პირამიდული კლდოვანი რელიეფი, ეროზიული საფეხურები, კლდეკარი, ჭორბები, დელტა, ზღვის სანაპირო გასწვრივი დუნუხები, აბრაზიული ტერასები, ლატერიტული თიხები, ტორფნარი, მწვეერი და სხვა. მორე, პიდროგრაფიული ძეგლების ჯგუფს დაემატა ჭაობები, ჭაობური მდინარეები, წყლისა და ჭაობის მცენარეულობის კუნძულები, მინერალური წყლები. ამ ტიპების პირობითი აღნიშვნების მიხედვით შეადგინეთ აჭარის არაორგანული ბუნების ძეგლების რუკა 1:200000 მასშტაბში.

აჭარაში, ბუნების ძეგლებით, განსაკუთრებით დასაინტერესოვებია აჭარის ქვაბული, რომლის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურება მდგომარეობს, უწინარეს, მის ოროგრაფიულ აღნაგობაში, მისი შუა ნაწილის შედარებით ხესტ გატენიანებაში (მარუაშვილი, 1970, გვ. 268).

აჭარა-იმერეთის ქედის თხემი აჭარის ტერიტორიაზე მეტწილად აგებულია ზედაეოცენური აფიტი-პორფირიტული ტუფებისა და ტუფობრექციების წყებით. ამვე ფორმაციაშია გამოძეგებული აჭარისწყლის ხეობა სოფ. ცხმორის ქვემოთ, ჭორხთან შეერთების ადგილამდე. ამტომაც ეს ზოლი გამოირჩევა გეოლოგიურ-გეომორფოლოგიური მრავალფეროვანი ფორმებით. აჭარა-იმერეთის გვერდითი ქედების თხემებზე, მდ. ჭკანას აუხსა და სხვა, უფრო ნაკლებად, მაგრამ მაინც შენახულია მოსწორებული მოვდნები – ეროზიული საფეხურები – კერძოდ, მასზე განლაგებულია სოფლები: ინწკრვეთი, ტაკიძეები და სხვ. ასეთი ეროზიული საფეხურების კლასიკური ნიმუშია მთა ქვაკიბე, დუნუდაციური ვაკეები, ძველი რელიეფის ნაშთი სოფელ კიბესთან. მთებისსირა კიბეები – პიემონტრეკე – ვახვდება აჭარისწყლის ხეობის ზემო ნაწილებშიც (ხელის ზემოთ).

აჭარა-იმერეთის ქედის აჭარის მონაკვეთზე ბევრია დუნუდაციური მოწმებები, რომლებსაც ქვაკაცებს ეძახიან. კლდეებზე აქედებული კაცის მსგავსი ლოდები, ზოგიერთ ადგილას ეს დუნუდაციური მოწმებები ჯგუფებად არიან განლაგებული – კინტონის სათავეებში, ხარმიველის მთაზე, მალაღთისა და მაწველდას იძილაზე და სხვ.

სამაგიუროდ, არხიანის ქედის ხრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, აგრეთვე შავშეთის ქედის დასავლეთი კალთების ნაწილი უფრო ახალგაზრდა, ნეოგენური ვულკანოგენური



წარმონაქმნებით არის აგებული. განვითარებულია სინეიტ-დიორიტული ნეოინტრუსიონის მხედველშედეგებთან (ხულოს მუნიციპალიტეტი), შოთა კუშტურში არის გამოქვაბულების მიწისქვეშა სიცარიელები, წარმოსობილი ვულკანური კედლის გადმობრუნებისა და ვაკეში წაწლის შედეგად (ახელქედიანი, 1944). ამავე ტერიტორიაზე გვხვდება ინტრუსივები. მათ შორის, პალეოკენური ვულკანური წყების დიდი ინტრუსივი არის სოფელ მერისახთან, ხადაც გამოშვდება ოთხ ძირითად უბანს ქმნის. სოფელ ვაიოსთან წარმოდგენილია გამაღნებელი წყებების ინტრუსივები. ისინი გვხვდება აგრეთვე სოფლების – ჯოჯოს, დღვანის, ღორჯომის და სხვათა მიდამოებში.

არსიანისა და შავშეთის ქედების თხემებზე შეიმჩნევა მეთხეული გამყინვარების მორფოლოგიური კვლები, რომელთაც თითქმის მოკლებულია აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთი აჭარის ქვაბულში შემაგალი ფერდობები. აქ გვხვდება კარები, კარული ტბები, ვერძის შუბლები. ტბები გაფანტულია ალპურ სარტყელში.

აჭარისწყლის ხეობაში ტუფოგენური ქანების წყებში მორიგობენ ფიქლებთან, რაც მიდრეკილებას იჩენს დამწვევრისაკენ. ამიტომ, თანადროული და ძველი მწვევრები ფართოდაა გავრცელებული აღნიშნულ ხეობაში. მოქმედი მწვევრები მკვეთრადაა გამოსახული ქედისა და დანადლის შორის, დანადლოსა და შუახევის მინაკვეთზე. აჭარის მწვევრი იხსენიება „ქართლის ცხოვრებაში“ კამთალმწვერელის (XIV ს.) მიერ. ხორუსისწყლის ხეობაში შეიმჩნევა ძველი მწვევრის ნაშთები, რომლებიც მდინარეულ ტერასებზეა გადაშორებული. აქ მოტანილია უზარმაზარი ღოდები. ღორჯომისწყლის ხეობაში, მარჯვენა შემდინარის, სერდოღელის აუზში, სოფელ ჭახურის მახლობლად 1954 წლის 23 მაისიდან 12 დღე გრძელდებოდა მწვევრის წარმოშობა, რომლის სიგრძე 6 კილომეტრია. მწვევრის გაჩენას ტბების წარმოშობაც მოჰყვა. მათ შორის არის ორი ტბა. ერთ მათგანს უჭირავს ქვაბური 10-15 მ სიმაღლის ფლატის ძირში, რომელსაც თითისტარისებური ფორმა აქვს. ტბის სიგრძე 90-100 მ-მდე, ხოლო სიგანე 25-30 მ-მდე. ტბის წყალი სუფთა და ლურჯი ფერისაა. მისი ნაპირები კი დაფარულია წყლის მკენარეულობით. მეორე ტბა, რომელიც უფრო პატარაა (სიგრძე 25 მეტრამდე, სიგანე 15-20 მ-მდე) და მას ოვალისებური ფორმა აქვს. გარდა ამისა, ამ ტბებს ზემოთ არის კიდევ ორი ტბა – ტრაპეციისებური და წრისებური ტბები (აფხაზავა, 1963, გვ. 178-179).

სოფელ ჩანჩხალოსთან (შუახევის მუნიციპალიტეტი) არის ბუნებრივი სამყინვარო, ხადაც ზაფხულის ცხელ დღეებში ბუნებრივად წარმოიშობა ყინული, რაც არაორგანული ბუნების იშვიათ ძველს წარმოადგენს.

აჭარის ბუნების ძეგლებიდან საყურადღებოა ჭოროხის წყალქვეშა კანიონი, აჭარისწყლის კანიონისებური მონაკვეთები – კლდეკარისებური ხეობები, ზღვიური ტერასები, ზღვის ნანაპირი გასწვრივ დიუნები ქობულეთის დაბლობზე, ჭოროხები ჩაქვისწყალზე და სხვ.

გეოგრაფიული სახელების კვლევის თვალსაზრისით საქართველო როელი და ხანტერესო რეგიონია. კახეთის საზღვრისპირა ზოლის ისტორიული წარსული ახსულია მის ტოპონიმებში. პირიქითა და დიკლო-შენაქის სასაზღვრო ზოლის გეოგრაფიული სახელები შემოსული უნდა იყოს მეზობელი ქისტეთიდან და დიდლოთიდან, მაგ: ქაჩუ, ნაყინო (კურდღელიძე, 1983). ახერბაიჯანის საზღვრისპირა ზოლში მთების სახელები არაქართულია, მაგ: იაილაჯისის ქედზე - იაილაჯა და ვეგოფე; ნობანდაის ქედზე - უხბულაგი და ყარა-დოხი. ვიქრობთ, რომ ადგილობრივ ტოპონიმებზე დაყრდნობით შეიძლება მეზობელ ქვეყნებთან შეთანხმება ერთი და იგივე გეოგრაფიული ობიექტისათვის ორი სახელწოდების მინიჭების შესახებ, მაგ: „მტკვარი“ (საქართველოში) და „აქურ“ (ახერბაიჯანში).

არაქართული გეოგრაფიული სახელები ისტორიულ მოვლენებს უკავშირდება. მათი გასწორება ძველ ქართულ წყაროებზე დაყრდნობით შეიძლება (ხარაძე, 2010). შესაცვლელია არაერთი სოფლის სახელი, თუმცა განათვალისწინებელია კომპაქტურად დასახლებული ეროვნული უმცირესობების ტრადიციები. მოსაწესრიგებელია ერთ მუნიციპალიტეტში ორი სოფლის ერთნაირი სახელწოდების საკითხი, მაგ. საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ორი სოფელი პაღლოა. რაც შეეხება სახელების შეცვლას, მოსახლეობის ნაწილი წინააღმდეგაა შეწყველი სახელის გადარქმევის.

გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებების დადგენა და დაზუსტება მუდმივი პროცესია, ამიტომ მონაცემთა ბაზაც მუდმივად განახლებადი უნდა იყოს. ლიტერატურული და კარტოგრაფიული მასალის ანალიზის და ადგილზე შემოწმების საფუძველზე შეიქმნა და დაზუსტდა საქართველოს გეოგრაფიული სახელწოდებების ორთოგრაფიული დეკლარაციის შინაარსი (2009), მაგ: ფაფრისხევი მდ. ჭერმისხევის მარჯვენა შენაკადია და არა მარცხენა; დომისდელე მდ. კისისხევის მარჯვენა შენაკადია და არა მარცხენა. ერთი და იგივე მდ. იტოს სამი მარცხენა შენაკადი - დიდი, შუა და პატარა ველოხევი (დექსიკონში) და დიდი, შუა და პატარა ველტეხი (ტოპოგრაფიულ რუკაზე). ერთი და იგივე მდ. იტოს მარჯვენა შენაკადი თლიხევი (დექსიკონში) და თხილხევი (ტოპოგრაფიულ რუკაზე). ტოპოგრაფიულ რუკაზე ძნელად გასარკვევი იყო მდ. ალაზნის მარჯვენა შენაკადების სისტემა ალაზნის ვაკეზე გამოსვლის შემდეგ. ადგილზე დათვალიერებით დაზუსტდა და რუკაზე აისახა: შაკაბის შესართავი დიდრეხთან და დიდრეხის შესართავი ალაზნთან. დადგინდა და შესაბამისი წარწერები გაუკეთდა პირიქითა ალაზნის მარცხენა შენაკადებს: ნიღოსწყალს, ჭეროსწყალს და ხაოსწყალს.

კვლევის შედეგები აისახა საინფორმაციო ბაზაში. იგი შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან გეოგრაფიული სახელწოდებების შესახებ (2000) და შეიძლება გამოყენებულ იქნას გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სახელმწიფო კატალოგის შესადგენად.

Javakhishvili A., Liparteliani G., Tskhakaia T.

Tsiklauri Kh., Chichinadze T.

TSU Vakhushiti Bagrationi Institute of Geography

Summary

Based on topographic maps and literature at the Laboratory of Cartography and Geoinformatics, an electronic database of geographic objects and new general geographic map of 1:200 000 scale of Kakheti region have been created. Mapping studies have shown that these literary and cartographic sources do not always match to each other. Fused data were included in the base, the orthographic dictionary of geographic names of Georgia was filled and precised. The research results can be used to compile a state catalogue of names of geographical objects of Georgia.

НОВАЯ ОБЩЕГЕОГРАФИЧЕСКАЯ КАРТА КАХЕТСКОГО РЕГИОНА

Джавახишвили А., Липартелиани Г., Цхაკაია Т., Цицлаური Х., Чичинадзе Т.

ТГУ, Институт географии Вахушти Багратиони

Резюме

На основе топографических карт и литературных источников в лаборатории картографии и геоинформатики создана электронная база данных географических объектов Кахетского региона Грузии и новая общегеографическая карта Кахети масштаба 1:200 000.

Картографические исследования показали, что данные литературных и картографических источников не всегда соответствуют друг другу. Подытоживая результаты сравнений мы вносили названия объектов в базу данных, а изменения и дополнения - в орфографический словарь географических названий Грузии. Результаты исследований могут быть использованы для составления государственного каталога названий географических объектов Грузии.

ლიტერატურა

აფრემიძე შ., წახიძე დ. (1987), როელი შედეგისილობის ქართულ გეოგრაფიულ სახელთა მართლ-წერის საკითხები, თანამედროვე ქართული ხალხთერატურო ენის ნორმები, მაცნე-ბიულეტენი, თბ., №3, 9-11.

კურდულაძე გ. (1983), თუშეთი (მეურნეობა, ბუნება, ტოპონიმია), თბ., 136 გვ.

ლიპარტელიანი გ., ლიპარტელიანი დ. (2007), კარტოგრაფიის მეცნიერული და პრაქტიკული ხელოვნების შესახებ. „კავკასიის გეოგრაფიული ჟურნალი“. თბ., №7-8, 25-30.

მაკალათია ს. (1983), თუშეთი, მეორე გამოცემა, თბ., 232 გვ.

მარუაშვილი დ. (1971), საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 236-260.

საქართველოს გეოგრაფიული სახელგების ორთოგრაფიული დექსიკონი, მეორე გამოცემა (2009), თბ., 235 გვ.

საქართველოს კანონი გეოგრაფიული სახელწოდებების სახელგების შესახებ (2000).

ნანგაშვილი გ. (1983), ღვარცოფული პროცესები კახეთში და მათთან ბრძოლის ღონისძიებები, თბ., 114 გვ.

ხარაძე კ. (2010), კახეთის ისტორიული გეოგრაფია, თბ., 52-57, 121-129.

Бердянт А.М. (2003), "Большая картография" или интеграция картографии, геоинформации и дистанционного зондирования. (интернет).

Краак М.Я., Ормелинг Ф. (2005), Картография и визуализация геопространственных данных. Перевод под ред. В.С. Тикунова. М. Научный мир., 325 с.

<http://www.un.org/ru/ecosoc/geo/article>.

**სოფელ აიბგის ტერიტორიული მიჯნობის აღსანიშნავი
გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული მუშავება**

დ. ნიკოლაიშვილი,* რ. თოლოღაძე**

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

** სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მოწესრიგება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული პოლიტიკური და აქედან გამომდინარე სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის საკითხია. ქვეყნის სახელმწიფო საზღვრის მთელი პერიმეტრი არ არის დელიმიტირებული და დემარკირებული, ამიტომ მისი ნებისმიერი მონაკვეთის გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული ანალიზი შეტად მნიშვნელოვანია. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია თანამედროვე სახელმწიფო საზღვრისა და მისი ისტორიული ცვლილებების კარტოგრაფიულ-გეოგრაფიული ანალიზი. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ "ცხელ წერტილებს" შორის ერთ-ერთი ვეულაზე პრობლემატური სოფელი აიბგის მონაკვეთი, ეს სირთულე უკავშირდება მრავალ გარემოებას და მათ შორის არაკონტროლირებად ტერიტორიაზე მის მდებარეობას. დღეისათვის მდ. ფსოუს ორივე მხარეს მდებარე ეს დასახლება რუსეთისა და ე.წ. აფხაზეთის მთავრობებს შორის ტერიტორიული დავის საკითხად იქცა.

აიბგის მონაკვეთი სახელმწიფო საზღვრის არამართებულად გატარების (1928) კლასიკური მაგალითია, ხოლოდან იგი ორადაა გაყოფილი: მდინარის მარჯვენა სანაპირო მიუქცეული რუსეთის, ხოლო მარცხენა სანაპირო – საქართველოს ფარგლებში. სოფელი აიბგა, რომლის ტერიტორიული მიკუთვნებულობა ახლო წარსულში მრავალჯერ შეიცვალა, თანამედროვე პერიოდშიც იმავე პრობლემის წინაშე დადგა. მდ. ფსოუს ორივე მხარეს მდებარე ეს დასახლება რუსეთისა და ე.წ. აფხაზეთის მთავრობებს შორის ტერიტორიული დავის საკითხად იქცა. სწორედ ამ მიზეზთა გამო უმნიშვნელოვანესია სახელმწიფო საზღვრის ამ მონაკვეთის როგორც თანამედროვე, ისე ისტორიულ ჭრილში კარტოგრაფიულ-გეოგრაფიული შეფასება.


სახელმწიფო საზღვრის ამ მონაკვეთზე ისტორიული ცვლილებები მრავალი ფაქტორითაა განპირობებული. ამ ფაქტორთა შორისაა გეოპოლიტიკური სიტუაციის ცვლილებები, საზღვრის ადმინისტრაციული ფუნქციის სტატუსი, არასამათლებრივი პოლიტიკური გადაწყვეტილებები, ისტორიული დოკუმენტების არასწორი ინტერპრეტაციები, სხვადასხვა პერიოდში გამოცემულ რუკებზე სხვადასხვაგვარად გატარებული საზღვრის კონტურები, არადელიმიტირებული და არადემარკირებული საზღვარი. ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ის სოციალურ-ეკონომიკური ფონი, რაც ხელს უშლის საკითხის თანამედროვე პერიოდში მოგვარებას. ადგილობრივი მოსახლეობის უმთავრესად სლავერი წარმომავლობა, არასამართლიანობის განცდა და ისტორიული მესხურება, რომელიც საზღვრის ხაზის სწორ გადაადგილებასთანაა დაკავშირებული, ხელს უწყობს პოლიტიკური ნება და ადგილობრივების მიერ ისტორიული ფაქტების არაადეკვატური აღქმა – ყოველივე ეს, ერთი მხრივ, საზღვრის ისტორიული ტრანსფორმაციის გამაპირობებელია, ხოლო მეორე მხრივ, საკითხის მოგვარების სირთულესაც ქმნის.

კვლევის მიზანია საქართველოს თანამედროვე სახელმწიფო საზღვრის აიბგის მონაკვეთის გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული ანალიზი და მისი ისტორიული ცვლილებების გამაპირობებელ ფაქტორთა შესწავლა გის-ანალიზის მეშვეობით. კვლევა ეფუძნება კარტოგრაფიულ, გეოგრაფიულ, ისტორიულ, სტატისტიკურ და სხვა სახის მასალებს. კვლევის ძირითად საფუძვლად გამოყენებულია სხვადასხვა მასშტაბის (1:100,000; 150,000; 25,000) ტოპოგრაფიული რუკები, Google Earth-ის რუკები და ისტორიული რუკები (საქართველოს ისტორიული ატლასი, 2003).

კვლევების ობიექტი. სოფელი აიბგა მდ. ფსოუს ზემო წელის აუზში, მის ორგანო ნაპირზე მდებარეობს. ტოპოგრაფიული რუკების (მასშტაბები 1:100,000 და 1:25,000; შედგენილი 1960-იან და განახლებული 1980-იან წლებში) მიხედვით სოფელი აიბგა 5 უბანს მოიცავს. აქედან 3 უბანი მდ. ფსოუს მხარეს, საქართველოში (გაგრის მუნიციპალიტეტი), ხოლო 2 უბანი მდ. ფსოუს მარჯვენა მხარეს რუსეთის (ადღერის რაიონი) ფარგლებში მდებარეობს (ნახ. 1). სოფლის ხუთივე უბნის საერთო ფართობი დაახლოებით 15,5 ათასი ჰექტარია (Черемных, 2012).

აიბგის № 1 და № 2 უბნები მდებარეობს მდ. ფსოუს მარჯვენა შენაკადების ვოდოაღისა და მენდელისის ხეობებს შორის. **აიბგის უბანი № 1** (პარალელური სახელები: აიბგა; აიბგა პირველი) მდებარეობს მდ. ფსოუს მარჯვენა სანაპიროზე, ადღერიდან (რუსეთი) მომავალ საავტომობილო გზის გასწვრივ. ადღერის რაიონის ყველაზე შორეული და ძველად მისასვლელი ადგილი, ოდითგანვე იყო სოფელ აიბგის ყველაზე დიდი განაშენიანებული დასახლება. ოფიციალური მონაცემებით ამჟამად სოფლის ერთადერთი დასახლებული უბანია. ხელუხლებელი ლანდშაფტების ფართო გაფრცვლვის გამო ტურიზმის განვითარების მაღალი პერსპექტივა აქვს. დაგეგმილია სამთო კურორტის მშენებლობაც. თუმცა, უკანასკნელ წლებში არაერთ წყაროში აღნიშნული ტყის დეგრადაციის ფაქტები, მაგალითად, მსხლის უზარმაზარი და ძლიერ მაღალპროდუქტიული კორმები 1993 წლიდან ინტენსიურად იჭრება. ნადგურდება ძირფასმურქინიანი ჯიშებიც (Охрана ..., 1999; Абхазская ..., 2007, Правительство ... 2006, ინტერნეტ-მასალები). სოფელში ცუდი ინფრასტრუქტურაა, ცუდადაა უზრუნველყოფილი ელექტროენერგიით, მწყობრიდანაა გამოხდილი საავტომობილო გზები. **აიბგის უბანი №2** (აიბგა), მდებარე მდ. ბელაია შიანკასა და მდ. ფსოუს სხვა მცირე მარჯვენა შენაკადების ნაპირებზე, ყველაზე მცირედ განაშენიანებული ტერიტორია იყო ყოველთვის. **აიბგის უბანი № 3** (აიბგა; აიბგის ნაკვეთი № 3; აიბგის ნაკვეთის № 3-54) მდებარეობს მდ. კატარხის, იგივე ბეშის მარცხენა (ფსოუს მარცხენა შენაკადი) ნაპირს. მდინარის მცირე მხარეს კი **აიბგის უბანი № 4** (აიბგა; აიბგის ნაკვეთი № 4-56) მდებარეობს (ფსოუს მარცხენა შენაკადი). 160 კმ² ფართობზე აქ არის მიტოვებული შახტა, ხადაც ადრე მძიმე ღლითონებს მოიპოვებდნენ. 1990-იან წლებში სოფლის ეს უბანი რუსეთის შემადგენლობაში მოექცა, უკანასკნელ წლებში კი სწორედ ეს უბანი გახდა რუსეთსა და აფხაზეთს შორის სადავო. **აიბგის უბანი № 5** (აიბგა) მივსომეტრულად ყველაზე მაღლა მდებარეობს. 1990-იან წლებში აქ, ურონიშვე კახაჩია პოლიანაზე ინტენსიურად მიმდინარეობდა მარმარილოს მოპოვება. 2007 წლიდან აქ განახლდა გაბროს მოპოვება (Абхазская..., 2006; Правительство ..., 2006).

როგორც საბჭოთა ტოპოგრაფიული და Google Earth-ის თანამედროვე რუკების ურთიერთშედარებამ, კერძოდ, განაშენიანებული ტერიტორიის კიდურა წერტილების გეოგრაფიული კოორდინატების განსახლვრამ (ცხრ. 1) აჩვენა, რომ სოფლის ტერიტორია არ გაზრდილა არც ერთ უბანზე. ეს ლოგიკური შედეგია საქართველოს ფარგლებში მოქცეული ნაწილისათვის. მაგრამ ანალოგიური უნდა ითქვას სოფელ აიბგის ერთადერთ დასახლებულ უბან № 1-ზეც; რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება აქ არ მომხდარა. სატელიტური გამოსახულებები ასახავს დანგრეულ შენობებს, მოშლილ ინფრასტრუქტურას, ნასახლარებს, რომლებიც ხშირი დაბურული ტყითაა ნაწილობრივ, ან მოლიანადაა დღეს დაფარული.



ნახ. 1. სოფელ აიბგის ავგილმდებარეობა (1970-80-იანი წლების ტოპოგრაფიული რუკების მიხედვით)

ცხრ. 1.

სოფელ აიბგის გეოგრაფიული კოორდინატები

უკიდურესი წერტილები		სოფლის ნაკვეთები (№)				
		1	2	3	4	5
უკიდ. დას.	ჩ.გ.	43°35'06"	43°35'22"	43°34'19"	43°34'18"	43°34'58"
	ა.გ.	40°11'02"	40°13'43"	40°12'52"	40°12'32"	40°15'13"
უკიდ. აღმ.	ჩ.გ.	43°35'01"	43°35'13"	43°34'22"	43°34'11"	43°34'53"
	ა.გ.	40°12'10"	40°14'35"	40°13'07"	40°12'44"	40°15'37"
უკიდ. ჩრდ.	ჩ.გ.	43°35'22"	43°35'25"	43°34'27"	43°34'20"	43°35'02"
	ა.გ.	40°11'44"	40°13'48"	40°13'01"	40°12'33"	40°45'14"
უკიდ. სამხრ.	ჩ.გ.	43°34'48"	43°35'10"	43°34'15"	43°12'41"	43°34'41"
	ა.გ.	40°12'26"	40°14'30"	40°13'06"	40°12'41"	40°15'27"
აბსოლ. სიმაღ., მ		720-845	820-865	555-800	520-585	670-805

სოფელი აიბგა მოხსენიებულია მრავალ სამეცნიერო-გეოგრაფიულ ლიტერატურაში როგორც უოფილი სოფელი აიბგა და ქვეყნის უკიდურესი ჩრდილოეთი წერტილი (ჩ.გ. 43°35') მის სიახლოვეს არის დასახლებული თემცა, ზოგიერთ რუსულ წყაროში (Аибага: затерянный рай, 2009) მდ. ფხოუს მარცხენა სანაპიროზე მდებარე სოფელი აიბგაც დასახლებულადაა აღნიშნული, რაც საქართველოს მოსახლეობის უკანაცხელი ორი საყოველთაო აღწერით არ დასტურდება (1989, 2002). საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფის (1961, 1966, 1987), აფხაზეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის (Абхазская АССР..., 1953), აგრეთვე საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ დეკლარაციაშიც (1987; 2009) ხაეროდ არ არის დასახლებული სოფელი აიბგა.


აიბგის "სახვარგარეთის ნაწილში" მდ. ფსოუს მარჯვენა მხარეს, 30 მცხოვრებულა და ვეულა ეროვნებით სლავური, რომლებიც აქ XIX საუკუნიდან არიან დასახლებულნი (Черных, 2012).

ტერიტორიული მიკუთვნებულობის ისტორიული ტრანსფორმაციები, საქართველოს სხვადასხვა ისტორიული რუკის (საქართველოს ისტორიული ატლასი, 2003) ანალიზმა აჩვენა, რომ სახელმწიფო საზღვრის აიბგის მონაკვეთი ძვ.წ. VI-III საუკუნეებიდან ვერისის (კოლხეთის) სამეფოს შემადგენლობაშია, ისევე როგორც მისგან ჩრდილო-დასავლეთით მდებარე საქმიოდ ვრცელი ტერიტორია (დაახლოებით მდ. შახის ხეობამდე). ქვეყნის

მაშინდელი საზღვარი მაშინაც გადიოდა აფხაზეთის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, თუმცა თანამედროვესაგან განსხვავებით, იგი მდ. ფსოუს ზემო წელის ხეობისაკენ კი არ ეშვებოდა (როგორც დღეს), არამედ მთაერი ქედის თხემს გაცილებით დასავლეთით გახდებოდა, საეროდოდ მ. ავაღბორიდან (2960.7) მ. ფიშტამდე (2867 მ).

შემდგომ ისტორიულ ეპოქებში აიბგის მონაკვეთის ტერიტორიული კუთვნილება დროდადრო იცვლებოდა (ნახ. 2), მაგალითად, ძვ.წ. II-I სს-ში კენიოზების, ახ.წ. III-IV სს-ში, XV ს II ნახევარსა და XVI ს-ში სანიგების კუთვნილებაში მოექცა, თუმცა ისტორიის უდიდეს მონაკვეთზე იგი საქართველოს სახელმწიფოს, ან მისი სამეფო-სამთავროს/საერისთავოს - აფხაზეთის ფარგლებშია.

XVI საუკუნეში მდინარეების მშობისა და ზიხვის აუზებში დასახლებულ აბაზ მთიულთა შორის სახელდება ტომი, ან თემი აიბგა¹ (Очерки из истории Грузии, 2009). ეს, ერთის მხრივ, უპირველესად მიჯვანიშნებს



ნახ. 2. აიბგის მონაკვეთის ტერიტორიული კუთვნილება ისტორიულ პერიოდში

შუა საუკუნეებში სოფლის არასლავურ დასახლებაზე, ხოლო მეორეს მხრივ, მისი სახელწოდების ეთნონიმურ წარმომავლობაზე.

XIX საუკუნეში სოფელი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლამდე აქ აფხაზ მთავრების მარშანიების კუთვნილებაში არსებული სოფელი აიბოგა, აიბაგა მდებარეობდა (Абхазия и абхазы..., Берге, 1858; Званца, 1982). XIX საუკუნეში სოფელი შავი ზღვის ოკრუგში (რუსეთი) შედიოდა. 1864 წელს სოფლის სიახლოვეს, დღევანდელ კრასნაია პოლიანასთან (აღრინდელი ართქუაჯი, რომანოვსკი, კბაადე - მდ. მზიმისი შუა წელი, კრასნოდარის მხარე, რუსეთი) ჩერქეზებსა და მეფის მებრძოლებს შორის გამართული ბრძოლის შემდეგ (რაც ჩერქეზების მარცხით დასრულდა), გამოიცა მმართველი სენატის უმაღლესი ბრძანებულება (Высочайший Указ Правительствующего Сената, 1869) სოფლის სახელწოდების შეცვლის თაობაზე. სწორედ ამ დოკუმენტშია მოხსენიებული აიბგაც, სადაც ვკითხულობთ,

¹ აიბგა იყო მცირერიცხოვანი აბაზური ტომი, რომელიც განსახლებული იყო სოფელ აიბგასა და მდებარე რამდენიმე სოფელში (მარშანია, ვახოხი, ტლაბოგი, კოჯა. ისიც ნიშნისობლივია, რომ ყაბარდოელები აფხაზებს (ან მათ ეთნიკურ ვერებს) დღემდე ამ სახელით იხსენიებენ.

რომ კავკასიის სახაზო ბატალიონის მე-2 ასეულის დისლოკაციის ადგილად აიბგის ურონიშიუ მდ. ფსოუზე.

სახელმწიფო საზღვრის აიბგის მონაკვეთის ტრანსფორმაციები ასევე დაკავშირებულია უახლოესი საუკუნეების პოლიტიკური სიტუაციებთან, რომლებიც XX საუკუნეში მიმდინარეობდა კავკასიაში. ეს იყო უპირველესად 1918 წლის მოვლენები: ჯერ რუსეთის იმპერიის დაშლა და ამიერკავკასიის ფედერაციულ-დემოკრატიული რესპუბლიკის, ხოლო მოგვიანებით სამი რესპუბლიკის – საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის დამოუკიდებლობის გამოცხადება. აიბგას მონაკვეთი სახელმწიფო საზღვრის არამართებულად გატარების კლასიკური მაგალითია, ვინაიდან იგი ორად გაიყო, მდინარის მარჯვენა სანაპირო მოექცა რუსეთის, ხოლო მარცხენა სანაპირო – საქართველოს ფარგლებში. სახელმწიფო საზღვრის ამ მონაკვეთის ცვლილებას ადგილი ჰქონდა 1904, 1920, 1921, 1926, 1928, 1929 წლებში. კერძოდ, 1924-29 წლებში აფხსრ-სა და შავი ზღვის ოკრუგის საზღვარზე პილენკოვოს თემი რსფსრ-ს დაქვემდებარებიდან საქართველოს შემადგენლობაში, და პირიქით, საქართველოს დაქვემდებარებიდან რსფსრ-ს შემადგენლობაში გადავიდა. 1928 წელს სსრკ ცაკ-მა მიიღო დადგენილება პილენკოვოს თემის აფხაზეთის შემადგენლობაში გადაცემის შესახებ, თუმცა ამ თემის მხოლოდ 4 სასოფლო საბჭოს (მიქელირიფშის, პილენკოვოს, საღმეს და ქრისტეფორეს) ტერიტორია გადაეცა საქართველოს, ხოლო მესხეთე აიბგის სასოფლო საბჭო დარჩა შავიზღვისპირეთის ოკრუგის სოჭის რაიონის შემადგენლობაში. საქართველოს საზღვრის მდებარეობა ამ მონაკვეთზე სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით შემდგენიარად განისაზღვრა: "სოფელ აიბგის სამხრეთით კოლონიზაციის ფონდის საზღვრის ფარგლებში... აიბგას შემდეგ საზღვარი გაგრძელდეს მდინარე ფსოუზე" [Шауткиа, ინტერნეტ-მასალები].

1992 წელს რუსეთის ჯარებმა რუსეთის „კუთვნილი“ აიბგის ნაწილი „აფხაზეთის დაუთმეს“, მოგვიანებით კი რუსეთმა 160 კმ² ფართობის დათმობა მოითხოვა. ამ მიზნით შეიქმნა სამთავრობოთაშორისო კომისია, რომელსაც დაევალა ამ საზღვრის დემარკაციადელიმიტიაციის საკითხების გადაჭრა [რუსეთის ხელისუფლება..., 2011], თუმცა, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ეს მონაკვეთი რუსეთისა და თვითაღიარებული აფხაზეთის სადავო ტერიტორიად დღემდე რჩება.

ამრიგად, კვლევის შედეგად გაანალიზდა სახელმწიფო საზღვრის აიბგის მონაკვეთის ტრანსფორმაციის განსახაზღვრელი ძირითადი გამოწვევები ფაქტორები, დადგინდა სოფელ აიბგის განსახლების გეოგრაფიული კოორდინატები და თანამედროვესთან ურთიერთშედარებით განისაზღვრა დასახლებული ტერიტორიის ტრანსფორმაციის მასშტაბი.

GEOGRAPHICAL AND CARTOMETRIC ANALYSIS OF THE TERRITORIAL PROPERTY OF THE VILLAGE OF AIBGA

*Nikolaishvili D. *, Tolordava R. ***

** Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

*** Sokhumi State University*

Summary

Aibga sector is a classic example of wrongfully held the state border of Georgia, because it was divided into two parts: the right bank of the river was turn out within Russia and the left bank – within Georgia. Throughout the 20th century changes in this sector of the state border took place repeatedly. Comprehensive



evaluation of every change is very important, since this will enable to evaluate the reasons for the historical changes.

The main purpose of the study is geographical-cartometrical analysis of Aibga sector and realizes factors contributing to its historical changes on the base of GIS-technologies. The study is based on the geographical, historical, statistical and other types of data. The work also analyzed the complex of factors that led to the historical changes of the state border on the sector.

Among these factors are: the changes in the political situation and the administrative functions of the state border, wrong interpretation of historical documents, differently expressed border lines on the maps of different periods, and non-delimited and non-demarkated border. It was also analyzed the socio-economic background, which obstacles the decision of problem in the modern period.

ГЕОГРАФИЧЕСКО-КАРТОМЕТРИЧЕСКИЙ АНАЛИЗ ТЕРРИТОРИАЛЬНОЙ ПРИНАДЛЕЖНОСТИ СЕЛА АЙБГА

Николашвили Д., Толордава Р.***

** Тбилисский государственный университет им. Ив. Джавахишвили*

*** Сухумский государственный университет*

Резюме

Сектор Айбги классический пример неправомерно проведённой государственной границы, потому, что его разделили на две части: правое побережье р. Псоу оказалась в Российской, а левое - в пределах Грузии. На протяжении XX-го века изменения этого участка границы происходили неоднократно. Весьма важна комплексная оценка каждого этого изменения, поскольку только это даст возможность правомерно - соблюдением исторической справедливости оценить причины этих изменений.

Целью исследования является географическо-картографический анализ Айбгийского сектора государственной границы и изучение факторов, обуславливающих её исторические изменения посредством ГИС-анализа. Исследование основывается на географические, исторические, статистические и другого рода материалы. В труде проанализированы также тот комплекс факторов, который обусловил исторические изменения государственной границы на этом секторе. В числе этих факторов изменения политической ситуации, статус административной функций границы, неправильные интерпретации исторических документов, по-разному проведённые контуры границы на картах, изданных в разные периоды, неделимитированная и недемаркационная граница. Проанализирован также тот социально-экономический фон, что препятствует урегулированию вопросов в современный период.

В результате исследования проанализированы определяющие основные факторы, которые вызвали трансформацию Айбгийского сектора границы, определены географические координаты всех участков села Айбга и определён масштаб трансформации территории.

ლიტერატურა

რუსეთის ხელისუფლება სოფელ აიბგაში არსებული სიტუაციით დაინტერესდა. "შედიანოხი". 29.06.2011.
 საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიულ დეკლინაციები. თბილისი, 1987; 2009.
 საქართველოს ისტორიული ატლასი (2003). რედ. დ. მუსხელიშვილი. თბილისი,
 საქართველოს მისახლეობის საყოველთაო აღწერები (1989, 2002).
 საქართველოს სსრ ტერიტორიულ-დემინისტრაციული დაყოფა. თბილისი, 1961; 1966; 1987.
 Абхазская АССР (1953). Административно-территориальное деление. Сухуми: Госиздат Абхазской АССР.

- Абхазская компания в 2007 году начнет добычу стройматериалов на Псоу. <http://abhazia.com/news1-6878.html>.
- Агуаџба Р.Х., Ачугба Т.А. (составители) (2005). Абхазия и абхазы в российской периодике (XIX-нач. XX вв.) кн. I. Сухум.
- Аибга: затерянный рай (2009). http://www.abkhaziya.org/news_detail.html?nid=24246.
- Ачугба Т.А. (2010). Этническая история абхазов XIX – XX вв. Этно-политические и миграционные аспекты. Сухум. с.356.
- Берже А. Краткий обзор горских народов Кавказа. Абхазское племя (азега). Кавказский календарь за 1858 г. Тифлис.
- Былые годы (2009). Черноморский исторический журнал, № 3 (13). Сочи: Редакция научных периодических изданий СГУТиКД.
- Высочайший Указ Правительствующего Сената (1869).
- Званба С.Т. (1982).Этнографические этюды. Составитель, автор биографо-библиографического очерка и ответственный редактор Г.А. Дзидзария. – Сухуми.
- Очерки из истории Грузии. Абхазия с древнейших времён до наших дней. Тб.: Изд=во Интелети, 2009.
- Охрана дикой природы на Западном Кавказе. Аибгинское дело. <http://hghltd.yandex.net/yandbtm?text>
- Пауткина Н.В. Историко-правовой анализ территориального размежевания России и Грузии (на сухопутном участке). Материалы научно-практических конференций Московского военного института ФПС России > Сборник научных статей № 9. <http://voenprav.ru/doc-3548-1.htm>.
- Правительство предоставило "Абхазской горнопромышленной компании" право на разработку месторождения габбро. 2006. <http://pda.regnum.ru/news/758538.html>
- Черемных А. Забытые в Аибге. 3.09.2012. <http://alexsrb.livejournal.com/57207.html>

სამეგრელოს რეგიონის პუნჯისა და მურნაოვის კარტოგრაფიკა პროექტი

კ. კორსანტი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამეგრელოს რეგიონი მნიშვნელოვანი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალით და მურნაოვის დარგების მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც რეგიონის აღრობისთვის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად უნდა ჩაითვალოს. შიშველ ამავე განაპირობა სამეგრელოს რეგიონის გეოგრაფიული და კარტოგრაფიული შესწავლა, რეგიონის გეოინფორმაციული კარტოგრაფირება.

ნაშრომის მიზანია სამეგრელოს ტუნების, რესურსების და მურნაოვის კარტოგრაფირება გეოინფორმაციული სისტემების საფუძველზე. შედგენილი რუკებით ჩატარებული მრავალფაქტორული გეოგრაფიული კვლევა, სამეგრელოს რეგიონისათვის შედგენილია: პიფსომეტრიული, კლიმატური პროცესების, პიდროლოგიური თავისებურებების, ნიადაგური საფარის, ბუნებრივი მცენარეულობის, სოფლის მურნაოვის, მრეწველობის და სხვა შინაარსის რუკები, რომლებიც ასახავენ სამეგრელოს რეგიონის გეოგრაფიულ სინამდვილეს. აღნიშნული რუკათა სერიის შექმნისას გამოყენებულია უკვე არსებული ლიტერატურული წყაროების მონაცემები, სტანდარტული გეოინფორმაციული სისტემა Mapinfo (სიკოლიაშვილი, 2004), რომელიც მომხმარებელს უზრუნველყოფს სრული კარტოგრაფიული პროექციით რეგიონის შესახებ და საფუძვლად გამოყენებულია E 200 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკა. ქვემოთ მოცემულია სამეგრელოს ტუნების პირობებისა და მურნაოვის კარტოგრაფირებისას მიღებული რამოდენიმე რუკა (8 რუკა).


სამეგრელოს რელიეფის მრავალფეროვნება ასახულია სამეგრელოს რეგიონის პიფსომეტრიულ რუკაზე (რუკა 1), სადაც ნათლად ჩანს რეგიონის პიფსომეტრიული თავისებურებები და სინამდვილია გრადაციების განაწილება რეგიონის ტერიტორიაზე.

საქართველოს პავის ტიპების წარმომქმნელი ფაქტორებისა და მეტეოროლოგიური ელემენტების შესახებ არსებული ინფორმაციის (ელისბარაშვილი ე. 2007) დამუშავების საფუძველზე შედგენილია სამეგრელოს რეგიონის პავის ტიპებისა (რუკა 2) და ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამების რუკა, სადაც გამოიყოფა რეგიონში გაბატონებული ოთხი ტიპის პავა და ატმოსფერული ნალექების გავრცელების სამი გრადაცია, რაც იძლევა ინფორმაციას რეგიონის კლიმატური პირობების გეოგრაფიული კანონზომიერებების შესახებ.


სამეგრელოს პიდროგრაფიული ქსელის მრავალფეროვნება, ზედაპირული წყლების სოხვე, წყლის რესურსების პოტენციალი, რეგიონის პიდროგრაფიული ობიექტების განაწილების გეოგრაფიული კანონზომიერებანი (Ресурсы водных.....1974) ასახულია რეგიონის პიდროგრაფიულ (რუკა 4) და მდინარეული ჩამონადენის რუკებზე (რუკა 5), რომელიც გამოსახავენ პიდროლოგიური ელემენტების გეოგრაფიულ განაწილებას რეგიონის ტერიტორიაზე.

კლიმატური და პიდროლოგიური პირობების მრავალფეროვნება უმეტესწილად განაპირობებს სამეგრელოს ნიადაგების ნაირგვარობას. ნიადაგსაფარის შესახებ მასალის (საბაშვილი, 1965) განზოგადოების საფუძველზე შედგენილია სამეგრელოს ნიადაგების ძირითადი ტიპების რუკა (რუკა 6), რომელიც გამოსახავს რეგიონში გავრცელებული ნიადაგების ძირითად ტიპებს.


სამეგრელოს ტყის რესურსები ძირითადად თავმოყრილია წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მარტვილის მუნიციპალიტეტებში. ტყის რესურსების შესახებ მოპოვებული მასალის ანალიზის (სამეგრელო, 1999) საფუძველზე შედგენილია სამეგრელოს ტყის რესურსების პოტენციალის რუკა (რუკა 7), რომელშიც ნათლად ჩანს ტყის გავრცელების ფარობები რეგიონის ტერიტორიაზე.




რუკა 1. ალტიმეტრიული რუკა




რუკა 2. წყლის ტიპები
(ელიზბარაშვილი, 2007)




რუკა 3. წყლების ფიზიური რაოდენობა
(ელიზბარაშვილი, 2007)



რუკა 4. შიდა რაიონების წყლის რაოდენობა
(Ресурсы поверх.....1974)



რუკა 5. მდინარეთა ჩამონადენი
(Ресурсы поверх.....1974)



რუკა 6. წყლის რაოდენობა
(ხაბაშვილი, 1965)



რუკა 7. სამეგრელოს ტყეები
(სამეგრელო, 1999)



რუკა 8. სოფლის მეურნეობა
(მელაძე გ., მელაძე მ., 2012)

სამეგრელოს ნიადაგური და აგროკლიმატური რესურსების მრავალფეროვნება განაპირობებს რეგიონის სოფლის მეურნეობის განვითარებას. დიტერატურული მასალების (მელაძე გ., მელაძე მ., 2012.) მონაცემების საფუძველზე შევადგინეთ სამეგრელოს სოფლის მეურნეობის რუკა (რუკა 8), სადაც ნათლად ჩანს სოფლის მეურნეობის დარგების გაერცელების ზონები რეგიონის ტერიტორიაზე.

სამეგრელოს რეგიონი არ გამოირჩევა მრეწველობის დარგების მრავალფეროვნებით, თუმცა მნიშვნელოვანი სამრეწველო ობიექტების კარტოგრაფირება შესრულებულია გეოინფორმაციული სისტემების გამოყენებით. ჩატარებულია სამეგრელოს მინერალური წყლებისა და საკურორტო-ტურისტული რესურსული პოტენციალის კარტოგრაფირება.

სამეგრელოს ბუნების კომპონენტების და მეურნეობის კარტოგრაფირებით მიღებული შედეგები შეიძლება საფუძველად დაედოს რეგიონის თემატური რუკის სერიის შედგენას. მათი გამოყენება მიზანშეწონილია სამეგრელოს ბუნებრივი პირობებისა და მეურნეობის დარგების რესურსული პოტენციალის შეფასების მიზნით.

CARTOGRAPHY OF NATURE AND AGRICULTURE OF SAMEGRELO REGION BY USING GEO-INFORMATION SYSTEMS

Korsantia K.

State University of Sokhumi

Summary

In the work described the cartography of the nature and agriculture of Samegrelo region on the base of modern geoinformational maps. For this purpose is carried out the modern multifactor geographic research. Series of geoinformational maps for Samegrelo Region have been made by the author about the relief, atmospheric precipitation, climate, soil, agriculture and industry, which gives a vivid impression of geographic reality of Samegrelo region. Furthermore, the resource potential of natural conditions and Samegrelo region's economy is assessed by means of the maps as well.

КАРТОГРАФИРОВАНИЕ ПРИРОДЫ И ХОЗЯЙСТВА САМЕГРЕЛО С ИСПОЛЬЗОВАНИЕМ ГЕОИНФОРМАЦИОННЫХ СИСТЕМ

Корсаития К.

Сухумский Государственный Университет

Резюме

В труде отражено картографирование природы и хозяйства Самегрело на основе современных геоинформационных карт. С этой целью проведено многофакторное современное географическое исследование. Автором составлена серия геоинформационных карт для региона Самегрело: рельефа, атмосферных осадков, типов климата, речных стоков, почвы, сельского хозяйства и промышленности, которые отражают географическую действительность региона Самегрело. С помощью карт также оценен ресурсный потенциал природных условий и хозяйства Самегрело.

ლიტერატურა

- ელისბარაშვილი ე. (2007). (საქართველოს კლიმატური რესურსები). თბ., გვ. 328, გვ.-
კორსანტია კ. (2012). (სამეგრელოს ბუნებრივი პირობების რესურსული პოტენციალი). თელავი, 251 გვ.-
ლიპარტელიანი გ., დიპარტელიანი დ. (2012). (გეოგრაფიული კარტოგრაფიის ტერმინოლოგიური
ცნობარი). თბ., 249 გვ.
მელაძე გ., მელაძე მ. (2012). (საქართველოს დასავლეთ რეგიონების აგროკლიმატური რესურსები). თბ.,
435 გვ.
ნიკოლაიშვილი დ. (2004). (გეოინფორმაციული და ექსპერტული სისტემები). თსუ, 370 გვ.
სამეგრელო (ბუნება, მოსახლეობა, მეურნეობა) (1999). მ. არდიასა და ჭ. ჯანელიძის რედაქციით,
თბილისი-ზუგდიდი, გვ. 420.
საბაშვილი მ. (1965). (საქართველოს სსრ წიაღღებები). თბ., გვ. 50-210.
Ресурсы поверхностных вод СССР (1974). Под ред... Цомай В.И. ст.577.

თ.ჭინაძე

თსუ ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი


რატა, საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე, წყაროებში პირველად X საუკუნიდან მოიხსენიება, მას შემდეგ რაც რატის საერისთავო ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულად ყალიბდება ფეოდალურ საქართველოში. მისი ერისთავები დიდ როლს თამაშობდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, განსაკუთრებით X–XIII საუკუნეებში. ამიტომ ვასაკვირი არაა, რომ ისტორიულ მხარეში საკულტო თუ თავდაცვითი ნაგებობების უმეტესობა სწორედ ამ ეპოქას განეკუთვნება. აქ თავმოყრილია როგორც ხალა ბაჩილიკური სტილის (მთის სურთმომადგერებისთვის დამახასიათებელი), ასევე გუმბათოვანი საკულტო ნაგებობანი. მხარის უძველესი საკულტო ნაგებობები V–VI საუკუნეებს განეკუთვნება, ძველების უმეტესობა IX–XIII საუკუნეებშია აშენებული, თუმცა ვხვდებით როგორც შუა და გვიანშუა საუკუნეებს, ასევე თანამედროვე საკულტო ნაგებობებსაც.

მხარის ისტორიულ და პოლიტიკურ მნიშვნელობაზე მეტყველებს აქ არსებული არაერთი ციხესიმაგრე, თავდაცვითი ნაგებობების უმეტესობა ნანგრევების სახითაა შემორჩენილი, თუმცა ადვილი მისახვედრია მათი სტრატეგიული მნიშვნელობა. მაგ: სოფელ ხიმშის ხიდიკარის ციხესიმაგრე, მდინარე რიონის ხეობაში კლდეებს შუა დგას (შუა საუკუნეები). იგი აღმოსავლეთი მხრიდან იცავდა რატის ერისთავების რეზიდენცია ბარაკონს (გობუჯიშვილი, 2006) ხაინტურესოა ასევე: მინდაციხე (ამბროლაურიშ), ვენდუშის „მალის ციხე“, სოფელ სხვავაში კვარაციხე, ბარეულის, ბუქანის ციხე, კლდისუბნის ციხე-კოშკი, პირველი ტოლას ციხე, ვოგოლათის ციხე-კოშკი, ნაგარევის ციხე-სასახლე, შარდლოშეთის ციხე, „ანიას ციხე“ (წესი), ჭყვიშის ციხე, ლაგანთას და ველითის (სამი) კოშკები.

საუკუნეების მანძილზე ბევრმა სახელწოდებამ განიცადა ცვლილება. ამიტომ ხაინტურესოა მხარის ტოპონიმების კვლევა. თვით მხარის სახელწოდებას რატას სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა ახსნა მიჰყოფება. ვახუშტი ბაგრატიონი (1997) ხალხურ ერთმონიობას ჭას უკავშირებს: „ხოლო სახელი შიოთო გარემოსთან დიდროვანთა მოვან და შინაგან ღრმის ადგილობისა მიერ – „იხიდე, რა ჭაა არს ადგილი ესე“. მხოლოე მოსახრების მიხედვით, მას საუკუძელად უძევს პიროვნული სახელი რატი, რომელიც ძალიან გავრცელებული ყოფილა ძველად რატის ერისთავთა საგვარეულოში. ამ სახელისგან თავდაპირველად გვექნებოდა რატიში („რატისა“) ხმოვნის ამოღების შემდეგ – რადში, აქედან კი საბოლოოდ მივიღეთ რატა. მამასადაძე, მისი მნიშვნელობა ასეთა: „რატინათი“, „სარატით“. შესაძლოა ზემოთ აღნიშნული „სარატით“ არ „რატინათი“ ხელად რატის პირველი ერისთავის რატი ბაღვაშის გამო იხსენიება, რაც ბევრად სარწმუნოა. არსებობს მეოთხე მოსახრება, რომ რატის სახელწოდება მიღებულია „რაჭუ“ სიტყვისაგან, რაც სვანურად „კურდღელს“ ნიშნავს. კურდღელი უნდა ყოფილიყო მხარის ტოტემი (ჭუგბურიძე, 1982). ხაინტურესოა სოფელი აგარას ტოპონიმი, რაც ბევრ დასახლებულ პუნქტს ჰქვია საქართველოში, აკადემიკოსი ი. ჯავახიშვილი აგარის მნიშვნელობას შემდეგნაირად განმარტავს: „აგარა ჩვეულებრივ ამა თუ იმ სოფლის მარტო საზოგადოლო სადგომი არ იყო, ან სახანაუ-სავენახე, რომელიც თუმცა სოფელსათო დასახლებული არ ყოფილა, მაგრამ თითოროლია იქნება ყურისმღები ოჯახობა შეიძლებოდა ყოფილიყო“. ჩანს, ზოგიერთ აგარის მოსახლეობა თანდათან მატულობდა და ცალკე სოფლად იქცეოდა. ხაინტურესოა ქალაქების ამბროლაურისა და ონის ტოპონიმების წარმოშობის ისტორია. სიტყვა ამბროლაური ნაწარმოებია ურ სუფიქსით, რაც ქართულ ტოპონიმიაში არცთუ იშვიათობაა. მაგ: ბაღია-ური, კურდღელა-ური, ფახანა-ური და სხვა (ჭუგბურიძე, 1982). თუ ამბროლაურს

ურ სუფიქსს ჩამოვაშორებთ ფუძე ამბროლა დარჩება, რაც ძველად ძალიან გავრცელებული იყო კაცის სახელი იყო, აქედანვეა გვარი ამბროლაძე ნაწარმოები. ამბროლაურის თავდაპირველი სახელი „მეტეხარა“ იყო და იგი XV საუკუნემდე ამავე სახელწოდებით არსებობდა, რაც შეეხება ონს, იგი პირველად XV-XVII საუკუნეებში მოიხსენიება, თუმცა ძვ.წ.დ. II-ს-ში, ონი როგორც დასახლებული პუნქტი უკვე არსებობდა (ქართლის ცხოვრება, 1973). საინტერესოა სოფელ ხორტევის ტოპონიმიც. ლეგენდის მიხედვით, იმერეთის ერთ-ერთმა მეფემ თავად წულუკიძეები რაჭაში ჩაასახლა და თან ციხე აუშენა. მშენებლობის დასრულებისას მეფეს მოუხანჯლებია წულუკიძეები და უკითხავს „ხო ტეხიხართ ამ ციხეში?“ სახელი ხორტევიც ჯერ ციხეს დარქმევია და შემდეგ მთელს სოფელს (ქსე, 1987). რაც შეეხება სოფელ სხვაჯას, გადმოცემის თანახმად თამარ მეფეს სოფელ სხვაჯის მდამოებთან შეუსვენებია. მეფეს ადგილი მოსწონებია და უთქვამს „აქ სულ სხვა პაერიო“, ასე წარმოქმნილა სოფელი სხვაჯის სახელიც. სოფელ სხვაჯაში, ქვათაძეების უბანში, XI საუკუნის ციხესიმაგრე – კვარაცხე დგას. აქ მოუყვანიათ ქვათაძეები, რომლებიც ქვის ოსტატები ყოფილან და ციხის მშენებლობა დაუვალებიათ. მათაც ციხე კვარას შექმნა აუშენებთ (ბოჭორიძე, 1994). საინტერესოა სოფელების: გლოლას, დების და ჭიორას (ონის მუნიციპალიტეტი) სახელწოდებების წარმოშობის ისტორია. „გლოლაი“ სვანურად დამრეცხ, ფერდს ნიშნავს. გადმოცემის მიხედვით სოფელ გლოლაში პირველი დასახლება თამარ მეფეს უკავშირდება. რაც შეეხება სოფელ დებს, „დებ“ სვანურად ჩაღრმავებულ ადგილს ნიშნავს, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში დებ-დებ გაშიფრულია, როგორც ფეტკრის ბინა, სკა (ტუმბურიძე, 1982). ლეგენდის თანახმად ლეჩხუმიდან გამოქცეულია ვიღაც მღვდელი, დების მდამოებში დასახლებულია და მღვდელთსათვის მოუყვია ხელი. ასე შერქმევია სოფლის სახელი დები. უფრო მოგვიანებით წარმოშობილა სოფელი ჭიორა. თავდაპირველად ჭიორელები ფახის შიის იქით ცხოვრობდნენ. სხვადასხვა ხალხებისაგან შევიწროებულვამა, დებელებს სთხოვეს ნებართვა, დებთან ახლოს ჩასახლებულიყვნენ. დებელების თანხმობის შემდეგ, ჭიორელებს ის ჭალა უთხოვიათ სადაც ბევრი „მწობი“ ბუდობდა (მწობს აქ უწოდებენ: მელას, კვერნას, კერდელს, თრითინას და სხვა). ასე უნდა დარქმეოდა სოფელს მწობიდან ჭიორა. თუმცა მკვლევარი ზ.ტუმბურიძის განმარტებით, რაც მეტად სარწმუნოა ჭიორა მცენარე ჭიორტანს მომდინარეობს, ჭიორტა მიხაკისებური წითელი, პურის ნათესებში გავრცელებული ყვავილია. სოფელ ჭყვიშს კი კოლხური ფუძე – ჭყვი და იმ სუფიქსითაა ნაწარმოები. ჭყვი „წკალს“ უკავშირდება. მაშასადამე ჭყვიში იფიგეა რაც „წკალისი“ და ნიშნავს წყლიან, ჭაობიან ან წყაროებიან ადგილს (ტუმბურიძე, 1982). ტოპონიმების კვლევისას დადგინდა ასევე სოფლების ვულევის, ხარისოვადას, ჭელიშის, დვიარას, სხადნარის, ტბეთის, ბარეულის, სხარტალის, აბანოეთის, და სხვათა სახელწოდებების წარმოშობა.

რაჭის საკულტო და ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლების რუკა შედგენილია 1: 100 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკების საფუძველზე პროგრამა ArcGis-Si. თითოეულ ძეგლს ახლავს შემდეგი სახის მონაცემები: ძეგლის გეოგრაფიული მდებარეობა (გეოგრაფიული კოორდინატები, ზღვის დონიდან ძეგლის მდებარეობა, მიმდებარე გეოგრაფიული ობიექტების მიმართ მდებარეობა, მკვ: მდინარის, ტბის ან ტყის რა მხარეს ან რა ნაწილში მდებარეობს ძეგლი), ძეგლის სახელწოდება, აშენების ეპოქა, არქიტექტურული სტილი, თანამედროვე მდგომარეობა. კვლევისას გამოყენებულია ისტორიული და გეოგრაფიული წყაროები.



THE STUDY OF RELIGIOUS, HISTORICAL AND ARCHITECTURAL MONUMENTS, PLACE NAMES, THE CREATION OF GEO-INFORMATION SYSTEM

Chichinadze T.

TSU, Vakhushti Bagrationi Institute of Geography

Summary

A map of religious, historical and architectural monuments of Racha is made on the basis of topographic maps at a scale of 1:100 000 in the ArcGis software. In the following databases are attached to each monument: the geographic location of the monument (geographic coordinates, location of the monument above sea level, on which side or in what part of a river, lake or forest is located a monument), the name of the monument, the era of its building, the architectural style and the current condition of the monument. During the study historical and geographical sources were used.

ИССЛЕДОВАНИЕ КУЛЬТОВЫХ И ИСТОРИКО-АРХИТЕКТУРНЫХ ПАМЯТНИКОВ, ТОПОНИМОВ, СОЗДАНИЕ ГЕОИНФОРМАЦИОННОЙ СИСТЕМЫ

Чичинадзе Т.

Институт географии им. Вахушти Багратиони ТГУ

Резюме

Карта Рачинских культовых и историко-архитектурных памятников составлена на основании топо карт масштаба 1:100 000 в программе ArcGis. К каждому памятнику прилагается следующего вида базы данных: географическое местоположение памятника (географические координаты, нахождение памятника над уровнем моря, с какой стороны от реки, озера или леса или в какой части находится памятник), название памятника, эпоха строительства, архитектурный стиль памятника, современное состояние памятника. Во время исследования были использованы исторические и географические источники.

ლიტერატურა

- ზოკორიძე ვ. (1994), რაკა-ლენხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები. თბ., გვ. 269-272;
ვახუშტი ბაგრატიონი (1997), საქართველოს გეოგრაფია: „მეცნიერება“, თბ., გვ. 371;
ვახუშტი ბატონიშვილი (1973), ქართლის ცხოვრება. ტ. IV. აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, ხახულმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ თბ., გვ. 767.
ვ. გობეჯიშვილი (2006), რაკის მონასტრები, თბ., გვ.74;
კაცორაძე დ. (1983), სოფელ სოტევის ისტორიიდან. ძეგლის მფლობარი. თბ., 55-59;
საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული (1975), ტ.V, გამომცემლობა „მეცნიერება“ თბ., გვ. 153;
ჭუმბურიძე ზ. რა გქვია შენ? (1982). თბ.; 308;
ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, (1987), თბ., ტ. XI, 483,503.

6. ოთინაშვილი

ვორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

პატარა ლიახვის ხეობა მდებარეობს შიდა ქართლში. მდინარე სათავეს იღებს ყელის ტბის ვულკანური მთიანეთის დასავლეთის კალთებიდან, გაივლის მთიან ნაწილს, ქართლის ვაკეს და სოფელ შერთულთან შერთვის მდინარე დიდ ლიახვს. სწორედ აქედან არის წარმომდგარი ამ დასახლებული პუნქტის სახელწოდება.

ხეობის შესახებ არსებობს ისტორიული ცნობები, მაგრამ უპირველესად უნდა დავასახელოთ ვახუშტი ბაგრატიონის შრომა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელიც „საქართველოს გეოგრაფიის“ სახელწოდებითაცაა ცნობილი.

„აღწერაში“ და შრომას დართული სოფლების სიაში ვეცნობით ხეობის დასახლებულ პუნქტებსა და პიდრონიმებს, მათ დახასიათებას.

მეცნიერი წერს: „ამ არბოქმინდის ზეთ ერთვის პატარა ლიახვს აღმოსავლიდამ მურისხევი“... „გამოსდის პატარა ლიახვი ქსოლოს ზეთი მცირეს ტბას და მოდის ფორტისამდე სამხრეთად... ხოლო ვანათს ერთვის დასავლიდამ ლიახვს ხევი გერისა, გამოსდის მშხლების მთას და დის სამხრით... ფორტისის ... ხევი ღრმა და კლდიან გამოსდის გერისა და შუაცხვირის მთას... მას ზეთი მოერთვის ხევი შანბიანისა ლიახვს აღმოსავლიდამ, გამოსდის ვამურის მთას და დის დასავლეთად... ამ ხეეს ზეთი ერთვის ლიახვს ხევი ჩაბარუხეთისა, გამოსდის გერის მთას“ (ვახუშტი, 1997).

ვახუშტი არ ასახელებს პატარა ლიახვის მთელ როგ ხევეებს. რა თქმა უნდა, ის ვერ მოიცავდა ყველა პიდრონიმს, კერძოდ მიკროპიდრონიმებს, წყაროების, წყლების, წისქვილებისა და სხვათა სახელებს. ზოგის სახელი შემდგომ გარკვეულად არის შეცვლილი, ზოგი სულაც გაშტრალია და სხვა სახელით არის დღეს ცნობილი. ძველი და ახალი პიდრონიმების იდენტიფიკაცია დღეს საკმაოდ რთულია და დამატებით კვლევა-ძიებას მოითხოვს.

უპირველეს ყოვლისა ინტერესს იწვევს თით პიდრონიმის სახელწოდება ლიახვი.

ვ. გამრეკელი ლიახვის სახელწოდებას ხსნის ნახური ენების საფუძველზე, როგორც თოვლის წყალი (ლუ, ლია – თოვლი და ხუ, ხი – წყალი) (გამრეკელი, 1952).

ზურაბ ჭუმბურიძე (1982 წ.) პიდრონიმს ასე ხსნის: ლი-ღეხუ და ლი-ღხუე, რაც ხეანურად ყინულის დნობას, ღლიობას ნიშნავს“. ასეთი კავშირი მართლაც სარწმუნო ჩანს.

ჩვენი აზრით, აღნიშნული სახელწოდება წარმომდგარია ლია და ხევიდან. დიდი ლიახვი სათავეს იღებს ნასოფლარ ზემო ერმანის აღმოსავლეთით ყელის ტბის ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან, ხოლო პატარა ლიახვი დასავლეთის კალთებიდან. აქვეა ლიას მთა, ახლა ამ მთის ნაწილს სბის მთა ჰქვია და წყლის კალაპოტს ეწოდება ლიას ხევი – ლიახვი.

სულხან-საბაას განმარტებით ლამი არის ლია „ლამი შავი ლია“ (ორბელიანი, 1991) კომპოზიტის პირველი ნაწილი აღნიშნავს მცენარის სახელს ლიას.

გაზაფხულზე წყალდიდობისა და სხვა დროსაც ლიახვი ფოლადისფერია, უფრო ღია ნაცრისფერი, რომელსაც ასეთ ფერს აძლევს ლით მდიდარი გარემო, საიდანაც და სადაც ის მიედინება.

სახელის მეორე ნაწილის ახსნა, როგორც ვახუშტი აღნიშნავს „ხმოვანი“, ძლიერ ხმაურის აღმნიშვნელია – მოხუის, იხუელა, დალიახვა და სხვა.

თავდაპირველად ლიახვი გამოითქმოდა, როგორც ლიახვი, შემდგომში ლიახვი უი-ს ვი-ად გარდაქმნით მივიღეთ – ლიახვი-ა. აღნიშნული ბოლო ხმოვანი პიდრონიმში აღარ არის შემორჩენილი გაცეუთის გამო.



სიტყვა ღიახვი მდინარის აღმნიშვნელ სახელად იქცა და ამის მიხედვით მინსწავლის მდინარესაც – შენაკადს მისი სახელი დაერქვა პატარა ღიახვი, რადგან ის მასთან შედარებით ორჯერ პატარაა.

სულხან-საბაას განმარტებით „ერთ წყალზე მრავალ მოსახლე“ ღიახვის, ამ შემთხვევაში პატარა ღიახვისათვისაც გამართლებული ჩანს და ხეობის შინაარსისა უნდა იყოს ხევიც, მაგრამ ეს უკანასკნელი უფრო მცირეა, ორივე წყალთან, პიდრონიმთან და ბუნებრივია მოსახლეობის ცხოვრებასთან არის დაკავშირებული.

პატარა ღიახვის ხეობა ორივე მხრიდან გარშემორტყმულია მთებითა და მთისწინეთებით, ხოლო მისი მარჯვენა და მარცხენა შენაკადები – ხევეები, დასახლებები თავიანთი სახელებით გამოირჩევიან. ხეობა რამდენჯერმე გვაქვს შემოვლილი.

აღწერეთ როგორც ტოპონიმები ისე პიდრონიმები და გადამოწმებულიც გვაქვს, მაგრამ ახლა ეს შეუძლებელია ამ რეგიონის ოკუპაციის გამო.

ხეობის პიდრონიმული ობიექტების საწარმოებლად გვხვდება: ტბა, წყალი, ხევი, წყარო, ჭალა, ჭაობი, წისკილი...

კომპიუტერ სახელებში პირველი ნაწილი მსახლერულია და აღნიშნავს სოფელს, ნასოფლარს, ვეცნობით ტოპონიმისა და პიდრონიმის ლოკალიზაციას, ანთროპონომიას. ყოველივე ამით წარმოდგენა გვაქვს გეოგრაფიულ ნომენკლატურაზე, რაც საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ მათი ფუნქცია, ისტორიული და ეთნიკური ვითარება.

ყელის ტბა მდებარეობს პატარა ღიახვის ჩრდილო-აღმოსავლეთით, იგი ვულკანურ-მყინვარული წარმოშობისაა, წაგრძელებულია სამხრეთიდან-ჩრდილოეთით, ამის გამო მიიღო ეს სახელი. ტბა ზღვის დონიდან 2914 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს და უღამახესი ხანაზეა. ვახუშტი მას უწოდებს „ქნოლოს ტბას“, რადგან ისტორიული პროვინცია ქნოლოს აღმოსავლეთით მდებარეობს. მეცნიერის ვარაუდით, თითქოს ტბიდან იღებს სათავეს პატარა ღიახვი, სინამდვილეს არ შეეფერება.

ტბის სამხრეთ-დასავლეთით პატარა-პატარა ქედებია, რომელთა წყაროებიდან სათავეს იღებს პატარა ღიახვი. ამ ადგილებს ეწოდება ცხრაწყარო, მაგრამ კიდევ უფრო მეტია, რომლებიც ცოტა დაბლა უკვე მქუხარე ნაკადულებს ქმნიან.

მდინარის მარჯვენა სათავეში არის ნასოფლარი გოზო, მარჯვენა შენაკადს ეწოდება გოზოსწყალი.

ნასოფლარი შედეური ღიახვის მარცხენა მხარეზეა, რომელსაც ჩამოედის შედეურისწყალი და მარცხნიდან შეერთვის ღიახვს.

ნასოფლარ ლაჭაურის წყალი ღიახვის მარჯვენა შენაკადია.

ნასოფლარი ალბირი ღიახვის მარჯვენა მხარეზეა და პიდრონიმს ეწოდება ალბირისწყალი.

ასევე ღიახვის მარჯვენა შენაკადი ქნოლოს იგივე ქნოლოს სამი ხეობის სამი მდინარე. ღიახვის მარჯვენა მხარეს არის ნასოფლარი „ინაური“, სადაც ინაურები ცხოვრობდნენ. ინაურისწყალი ღიახვის მარჯვენა შენაკადია.

გერის წყალი, სათავეს იღებს ქართლში განთქმული ხალოცავის გერის წმინდა გიორგის ეკლესიის დასავლეთი ხეობიდან და სოფელ ვანათის მიდამოებში მარჯვნივე შეერთვის ღიახვს.

გუდისის წყალი, ღიახვის მარცხენა შენაკადია, სახელი დარქმეულია გუდისის ქედის მიხედვით.

ელტურისწყალის სახელი დარქმეულია ამ სოფლის სახელის მიხედვით. ძველი სახელია ელტერი, ცხოვრობდნენ სიღამონიემები და ჯორკვალძემები. ამჟამად ჯორკვალძემები აბავეად იწერებიან და ეთნიკურად არიან შეცვლილი.

ინაურისწყალი, აღნიშნული სახელით მეორე ინურია, ღიახვის მარჯვენა მხარეს, სადაც ინაურები ცხოვრობდნენ, სახელიც სახელისა და გვარის მიხედვით არის დარქმეული.

ფორნისხაყალი, ღიახვის მარჯვენა შენაკადია, სოფელ ბელოთის აღმოსავლეთით მდებარე სახელი დარქმეულია სიტყვა ფორთოდან, რომელიც ღრმის ნიშნავს.

მაკიანთწყალი, პიდრონიმის სახელი მომდინარეობს მაკიშვილების გვარიდან, ამჟამად იქ აღარაინც ცხოვრობს.

ფოხადისწყალი, სახელი დარქმეულია სოფელ ბელოთის აღმოსავლეთით მდებარე სიმაგრე ფოხადის მიხედვით, რომელიც ქსნის ერისთავების კუთვნილება იყო. წყალი ღიახვის მარჯვენა შენაკადია სოფელ ბელოთის აღმოსავლეთით.

შამბეთისწყალი არის ღიახვის მარცხენა შენაკადი, მსახლერული სიტყვა შამბი ბალახის ერთგვარი სახეობაა.

ჩაბარუხეთისწყალი ღიახვის მარჯვენა შენაკადია, სახელი დარქმეულია მცენარის, იგივე ბალახის ერთგვარი ჯიშის მიხედვით.

წიფორისწყალი ღიახვის მარცხენა შენაკადია.

წყალწმინდა სათავეს იღებს ნასოფლარში და სოფელ ვანათში მარჯვნიდან შეერთვის ღიახვს.

ღვრია, ღვრისწყალი, სათავეს იღებს გერის მონასტრის ახლომდებარე ადგილებიდან და მარჯვნივ შეერთვის ღიახვს.

ხოშურისწყალი, სოფელ ხოშურის მიხედვით არის დარქმეული და ღიახვის მარჯვენა შენაკადია.

აწრისხევი ძველ საბუთებში აწერისხევი, რომელიც დიდი სოფელი ყოფილა. ხეებს ასევე ეწოდება აწრეულია. პიდრონიმი გავორძეულია ქართულ პიდრონიშიაში, გავრცელებულია - ულ სუფიქსით.

ქობახიხევი, ღიახვის მარჯვენა შენაკადია. აქ არის ნასახლარები, სადაც ძველი აწრისხევი ყოფილა.

სანახშიროს ხევა ჩამოუღის სოფელს და ღიახვის მარჯვენა შენაკადია.

სენისხევი, ხევა - ღიახვის მარჯვენა შენაკადი.

ვანათის ხევი, ღიახვის მარჯვენა შენაკადი.

კოხათისხევი, სათავეს იღებს სოფელ სარაბუკიდან და ღიახვის მარჯვენა შენაკადია.

თლიაყანისხევი, სათავეს იღებს ნასოფლარში, ღიახვის მარჯვენა შენაკადია.

ბაიანთხევი - ცხოვრობდნენ ბაივაშვილები. ხევი თლიაყანისხევის მარჯვენა შენაკადია.

ქვემო უბნისხევი, სოფელ ვანათის სამხრეთით, ღიახვის მარჯვენა შენაკადია.

საყდრისხევი, გამოდის ჩრდილოეთით მთის ძირიდან, ჩამოუღის ვანათს, მარჯვენა შენაკადია.

ჯოჯიათან ხევი, გამოდის ნასოფლარ ორტყვიდან, ჩამოუღის ჯოჯიშვილების სოფელს და ღიახვის მარჯვენა შენაკადია.

ვალიკოს წყარო - სოფელ აწრისხევიში, დარქმეულია მეტყვევ ვალიკო ასკილაშვილის სახელზე.

ხევისწყარო - სოფელ ჯოჯიათანში.

კაკლების წყარო - სოფელ ხოშურში.

ავახნის წყარო - სოფელ ხოშურში.

ცხრაბუხის წყარო - სოფელ ვანათში.

თეთრიწყარო - ვანათში.

მდინარე ღიახვის ორივე მხარეზე დანახლებული პუნქტების მიხედვით გვხვდება: ჭალა, ჭაობი, დუღუ, ტბორი და მათი რაოდენობა ოცდაათამდეა.

ბენიანთხევი, ღიახვის მარჯვენა შენაკადია. პიდრონიმს სახელი დაურქვა სოფელ ბელოთში მეცხრაბუტე საუკუნეში მცხოვრები ბენიამინიშვილის გვარის მიხედვით. „1882 წლის

თორნიკე ერისთავის შემოსავლის დაეთრის მიხედვით სოფელ ბელოთში ქიტო, ზაქარია და ხოსრო ბენიამენიშვილები" (გერიტიშვილი, 1959).

